CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

„ასავალ-დასავალმა“ სასამართლოში 300-გვერდიანი მტკიცებულებები წარადგინა

N97 (3027) 26 ივნისი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან



ევროპაში მოღვაწე ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე:

## „ახლა მაგარ სკანდალს გეტყვით“

რა ხდება ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე ბრიუსელში? 9

## ასოცირების ხელშეკრულება – რას მოვიგებთ და რას წავაგებთ? 11

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე თამარ ლალიაშვილი:

## „პირდაპირ მითხრეს: კოტე და პავლე კუბლაშვილებს სათათბირო ოთახიდან გაგყავდით და რა სასჯელსაც გვეტყოდნენ, ის გამოგვქონდაო“



გოგი თოფაძე:

## „ევროკავშირში ვიქნებით თუ ნატოში, მიწის გაყიდვა დანაშაულია“

როგორ აღკვეთს თეა წულუკიანი ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვას?



# რამდენი ჯდება 27 ივნისის კონცერტი ევროპის მოედანზე?

## მერაბ შათირიშვილი: „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა აიკრძალოს, როგორც პოლიტიკური პარტია“



რა რეაქცია ჰქონდა „ქართულ ოცნებას“ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის წასვლაზე?

## უშიშროების ექს-მინისტრი ბაქოდან „შავი ფულის“ გადმოტანის მეთოდს შიფრავს



**მადლობა სამართლიანობისთვის ბრძოლაში ერთგულებისთვის!**

შემოწირულობა ანგარიშზე შეიტანეს:

1. შპს სტამბა „ტორის“ ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; 2. ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი, 3. ტარიელ თაბაგარი – 3 ლარი, 4. ადვოკატი გურამ გვენცაძე – 100 ლარი, 5. დავით მამუკაშვილი – 1 ლარი, 6. მერაბ ომიაძე – 1 ლარი, 7. „ახალგაზრდა ადვოკატები“ – 100 ლარი, 8. „ტოიოტა-ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი გურჩიანი – 1500 ლარი, 9. ირაკლი ქავთარაძე – 49 ლარი; 10. ოთარ ჯანდიერი – 10 ლარი; 11. ნათელა მაღლაკელიძე – 50 ლარი; 12. ს/ს „გურმანი“ – 50 ლარი; 13. ენრიკო იაკობაშვილი – 1000; 14. ბესიკი ადამია – 5; 15. ანა იმნაიშვილი – 5; 16. ჯიბუტი – 10; 17. დიმიტრი-ელენე-ენვერ ენდელაძე – 3; 18. რიმა გოჩიაშვილი – 50, 19. გელა სულაბერიძე – 2, 20. სერგო მწითურიძე – 100. 21. თამარ მდივნიშვილი – 5. 22. იოსებ ვაშაკიძე – 5, 23. ირინე ტატუნიშვილი – 5, 24. ნუკრი რევიშვილი – 10, 25. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – 500, 26. მანანა ვახტანგაძე, რევაზ ფახურიძე – 1, 27. ამხანაგობა საადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორები – 70, 28. ვასილ მეტერეველი – 10, 29. ლაერტი ზუბადალაშვილი – 100, 30. ჯუმბერ ტაგანაშვილი – 10, 31. შპს „ნილი“ – 50; 32. მამუკა კაკუშაძე 20; 33. ჩანჩალაშვილი აბრამი – 300, 34. მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი“ – 100, 35. ნოდარ ბუღაძე – 50, 36. ჯემალ ალანია – 3, 37. დავლოსტი გობეჯიშვილი – 30; 38. ზუბერ ავალიანი – 10; 39. გიზო ფაცია – 1000; 40. ზურაბ გუნია – 100; 41. 42. თამრიკო ფაცია – 100; 43. თეა იაკობიძე – 100; 44. მერაბ სარია – 300; 45. მარინე კანდელაკი – 5; 46. შორენა გოშუა – 5; 47. ხელვაჩაური პურპროდუქტები – 150; 48. ცისანა ქირია – 10; 49. ტარიელ ოთიაშვილი – 10; 50. ელისო შიხიაშვილი – 50; 51. ლევან ბანეთიშვილი – 300; 52. ელეონორა ბექაური –10; 53. დავით ჭაქვაძე – 190; 54. ციალა თოფურია – 100; 55. მარიკა ჯაჯანაშვილი – 2, 56. დიმიტრი ტიკარაძე – 250, 57. შპს „პირველი“ – 250, 58. ამირან იაკობიძე – 100, 59. ომარ გოცაძე – 20, 60. ქეთევან ძოწენიძე – 3. 61. მედეა სალდაძე – 10.

სპეციალური ანგარიში „თიბისი ბანკში“ GE30TB7568636020100001


# რამდენი ჯდება 27 ივნისის კონცერტი ევროპის მოედანზე?



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, ნინო კობახიძის განცხადებით, 27 ივნისს ასოცირების ხელშეკრულების დღესთან დაკავშირებით თბილისში დაგეგმილია გრანდიოზული კონცერტი, რომელიც ევროპის მოედანზე გაიმართება, სადაც უკვე გადაკეტილია გზა და სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს სცენის მონტაჟი. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ უცხოეთში მოღვაწე ქართველი ვარსკვლავები და ქართული ესტრადის მომღერლები. კონცერტს შეუერთდება ბრიუსელიდან დაბრუნებული სამთავრობო დელეგაცია და მოსახლეობას სიტყვით მიმართავენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი.

**საინტერესოა, რა თანხა ჯდება „გრანდიოზული კონცერტის“ მოწყობა და საიდან გამოიყოფა ეს თანხები?**

**„ალიას“ ნინო კობახიძე ესაუბრა:**

– კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ევროპაში მოღვაწე ჩვენი ქართველი საოპერო მომღერლები, ნინო სურგულაძე, პაატა ბურჭულაძე, ანიტა რაჭველიშვილი, ნიაზ დიასამიძე და ნინო ქათამაძე, იცეკვებენ „სუხიშვილები“. კონცერტი საღამოს ცხრის ნახევარზე დაიწყება.

**— რა თანხა ჯდება კონცერტი და საიდან გამოიყო ამისთვის ფული?**

– ჯერ არ არის დათვლილი თანხები, სხვათა შორის, ძალიან ბევრმა მომღერალმა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გადაწყვიტა, რომ ჩამოსულიყო და ამ კონცერტში მიეღო მონაწილეობა. ჯერ არ არის პროცედურები დასრულებული, იმიტომ, რომ ქალაქის მერიაც მონაწილეობს.

**— ანუ მთავრობა და მერია ინაწილებენ თანხებს?**

– მერია, თავის მხრივ, ამზადებს კონსტრუქციას და დროშების თანხასაც მერია გადაიხდის. როგორც კი დავასრულებთ და შევაჯამებთ ჯამურ ღირებულებას, გამოვაქვეყნებთ, რა დაჯდება ეს ღონისძიება.

**— ერთი წუთით, რა სავალდებულო იყო ამ კონცერტის ჩატარება და რატომ იხარჯება ეს თანხები ჩვენი ჯიბიდან?**

– (პაუზა) ოი, ცოტათი ისეთი კითხვაა, სავალდებულოა, ზოგადად, კონცერტის გამართვა იმიტომ, რომ საზეიმო ღონისძიებაა და ხალხს უხარია.

**— ხალხს რა უხარია?**

– ხელშეკრულების ხელმოწერა არ არის მნიშვნელოვანი მოვლენა? და თქვენ არ გიხარიათ?

**— მე რა მიხარია, ამ შემთხვევაში არ არის საინტერესო, როცა 70 პროცენტი ადამიანებისა არ ცხადდება საარჩევნოდ და ამით ხელისუფლების ქმედებას აპროტესტებს, აქ გახარებულ ხალხზე ლაპარაკი უადგილოდ მიმაჩნია. რა ვქნა, ვერ ვხედავ გახარებულ ხალხს.**

– დავანებოთ პოლიტიკური კუთხით ამ პროცედურას... ეს ხომ არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმატება, ეს არის ქვეყნის წარმატება, როდესაც ხელს აწერ ასეთ ხელშეკრულებას... რახან ასეთ პროვოკაციულ კითხვებზე ხართ.

**— პროვოკაციულ კითხვებს არ ვსვამ, მაინტერესებს, სად მიდის ჩემი სიმწრით ნაშოვნი ფული, მეტი არაფერი.**

– ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ხელშეკრულებაში ისაა, რომ ჩვენს მეწარმეებსა და მოქალაქეებს ექნებათ საშუალება, რომ გავხსნათ ევროპაში გზა და ჩვენი პროდუქცია უფრო ხარისხიანი გახდეს... ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი და ამ ნაბიჯისთვის გვინდა აღვნიშნოთ. ჩვენი ხელისუფლება არ გამოირჩევა პომპეზური კონცერტებითა და ღონისძიებებით, თუმცა გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ გარდა იმისა, საერთო სახალხო და არა მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური პარტიის აქტია ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ამიტომ ხალხისთვის გავაკეთეთ ეს კონცერტი, არცთუ ისე ძვირადღირებული.

**— თქვენ რა იცით, „არცთუ ისე ძვირადღირებულია“ თუ არა, ჯერ ხომ დათვლილი არ გაქვთ სავარაუდო ხარჯი?**

– ვიმეორებ, უმეტესობა მომღერლების თანხმდება ამ კონცერტში ყოველგვარი ჰონორარის გარეშე მონაწილეობის. იმიტომ, რომ წინ გადადგმული ნაბიჯი ქვეყნისთვის არის სასიხარულო!

**— თქვენ გაოცდით ჩემი კითხვის მოსმენისას და აგიხსნით: ვისთვის არის სასიხარულო, როცა ამდენი მშიერი, უმუშევარი და უბედური ადამიანი გვყავს? სანახაობა ჩვენ უკვე დიდი დოზით მივიღეთ. ეგება აჟიოტაჟის გარეშე შევხვედროდით ასოცირებაზე ხელმოწერას და თანხები საჭირო მიმართულებით წასულიყო?**

– რა თქმა უნდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მოქალაქეები აქ გვყავდეს დასაქმებული და არ ჰქონდეთ სურვილი ევროპაში საცხოვრებლად წასვლის. ასოცირების ხელშეკრულება იმისთვისაა, რომ ქვეყანაში მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას. რაც შეეხება ღონისძიებას, მიგვაჩნია, რომ მცირედი ღონისძიებაა, ხალხი მიულოცავს ერთმანეთს და ვფიქრობთ, სწორი და პატარა კონცერტი იმართება.

**ამის შემდეგ ვუკავშირდები მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს თეა შათირიშვილს: „ჩვენ გვთხოვეს მხოლოდ ჯებირების მოწყობა და დროშების მოწყობა, ამაში ვეხმარებით. თანხა არა, რადგანაც ეს ღონისძიება ჩვენი ორგანიზებული არ არის. ჩვენი მარტო ტექნიკური დახმარებაა“.**


თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50


# „ასავალ-დასავალმა“ სასამართლოში 300-გვერდიანი მტკიცებულებები წარადგინა




**25 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაზეთ „ასავალ-დასავალის“ პროცესი გაიმართა. შეგახსენებთ: „თიბისი ბანკი“ გამოცემას ცილისწამებაზე უჩივის.**

**გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა:**

– სანამ პროცესი დაიწყებოდა, „თიბისი ბანკისა“ და მამუკა ხაზარაძის ადვოკატებმა ზვიად კორძაძემ და ქეთი ფარხავამ წინა დღით მოიწვიეს საგანგებო პრესკონფერენცია და ეს პროცესი გააპიარეს. მათ განაცხადეს, თითქოს ჩვენს გაზეთს არ ჰქონდა და არც წარგვიდგენია სასამართლოში არანაირი მტკიცებულება. რაც შეეხება უშუალოდ პროცესს, ჩვენ და ჩვენმა ადვოკატებმა როგორც მოსამართლეს, ისევე ხაზარაძის ადვოკატებს გადასცეს მტკიცებულება, რომელიც მოიცავს 300 გვერდს. ანუ ჩვენ ჩვენი პოზიცია ყველანაირი დოკუმენტაციით გავამყარეთ და წარვადგინეთ. პირადად ჩვენ კმაყოფილი ვართ ამ პირველი მოსამზადებელი სხდომით, რადგანაც ყველაფერი ჯერჯერობით კორექტულად ჩატარდა, მოვახერხეთ ჩვენი პოზიციების საკმაოდ მყარად წარმოჩენა, შევატყვეთ ისიც, რომ თავად მოსამართლეც ობიექტური იყო და არ იყო მიკერძოებული რომელიმე მხარის მიმართ. ეს ის მოსამართლეა, რომლის სახელიც და გვარიც თქვენ არ გესიამოვნებათ, მწარე პრაქტიკიდან გამომდინარე, ესაა თამაზ ურთმელიძე. ამ ეტაპზე მის მიმართ არაფერი გვაქვს სასაყვედურო, იმედია, რომ მას თავის პრაქტიკაში ის ერთი საქმეც ეყოფა, მედიის წინააღმდეგ და კონკრეტულად „ალიას“ წინააღმდეგ, რაც ჩაიდინა.

**— ჯაბა, ურთმელიძემ თქვენი საქმეც თუ ისევე წაიყვანა, როგორც ჩვენი, მაშინ მართლა აფეთქდება სასამართლო და ეს, ეტყობა, გათვალისწინებული აქვს.**

– მაგას ვამბობ. ჯერჯერობით ნორმალურია და შემდეგ რა იქნება, მაგას ვერ ვიტყვი. იმედია, კიდევ ერთხელ არ მიიღებს სამარცხვინო გადაწყვეტილებას. ეს მოსამზადებელი სხდომა იყო, მაგრამ ჩვენ მიერ მომზადებული მასალები იმდენად მოცულობითი იყო, რომ მეორე სხდომა, რომელიც 11 ივლისს დაინიშნა, ისიც მოსამზადებელი იქნება, რადგანაც მტკიცებულებების განხილვას დიდი დრო სჭირდება.

**— როგორ იქცეოდნენ ხაზარაძის ადვოკატები?**

– ზვიად კორძაძე სასამართლოზე იყო ძალიან თავშეკავებული და კორექტული, რასაც ვერ ვიტყვი მის მეწყვილეზე, ქალბატონ ქეთი ფარცხავაზე, რომელსაც უჭირდა თავის კონტროლის გაწევა, ამას კი იმას მივაწერ, რომ ფარცხავა ძალიან ახლო კავშირშია წინა, იგივე სააკაშვილ-ადეიშვილის ხელისუფლებასთან და არ გამოვრიცხავ, რომ „ასავალ-დასავალი“ იდეურად არ მოსწონდეს და გულზე არ ეხატებოდეს. მოკლედ, ბრძოლა ჯერ წინაა და ვნახოთ, რომ იტყვიან, დაველოდოთ.


თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.

„ალია“-„ქრონიკა“



# უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე თამარ ლალიაშვილი: „პირდაპირ მითხრეს: კოტე და პავლე კუბლაშვილებს სათათბირო ოთახიდან გავყავდით და რა სასჯელსაც გვეტყოდნენ, ის გამოგვქონდაო“

ორიოდ დღის წინ თბილისში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა კონფერენციაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, კოტე კუბლაშვილმა ჩვენი სასამართლოს დამოუკიდებლობას ზარ-ზეიმით გაუსვა ხაზი: სასამართლოს სისტემა ძალიან მაღალ დონეზეა დამოუკიდებლობის მხრივ და სასამართლო რეფორმაც წარმატებით მიმდინარეობსო. გესმით, თურმე „ნაცმოძრაობის“ კონტროლირებადი კუბლაშვილის სასამართლო დამოუკიდებელი ყოფილა და თითქოს მე გამომაქვს ის გადაწყვეტილებები, საკაშვილის პოლიტიკური ბანდის წევრებს პანტაპუნტით რომ ათავისუფლებს სასამართლო დარბაზიდან. 50 მილიონის ქურდობაში ბრალდებულ გიგი უგულავას 50 000 ლარი რომ შეუფარდა გირაოდ, ბაჩო ახალაია სისხლის სამართლის რვა საქმეში რომ გაამართლა და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი დამნაშავე „ნაციონალი“ გადაარჩინა სასჯელს.

კუბლაშვილის სასამართლო რამდენად დამოუკიდებელი და სამართლიანია, ეს ყველაზე უკეთ იმ მოსამართლეებმა იციან, რომელთაც საკუთარ ტყავზე გამოსცადეს ამ სისტემის მთელი საშინელება. უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, თამარ ლალიაშვილი კუბლაშვილის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლია. მას ნინო გვენეტაძესთან, მერაბ ტურავასთან და მურმან ისაევთან ერთად, 2006 წელს შეუწყვიტეს მოსამართლის უფლებამოსილება. ამის მიზეზი კი მხოლოდ ის იყო, რომ ეს მოსამართლეები კუბლაშვილისა და „ნაცების“ დაკვეთებს არ ასრულებდნენ და უდანაშაულო ადამიანებს ციხეებში არ ისტუმრებდნენ.

**„ალია“ თამარ ლალიაშვილს გერმანიაში დაუკავშირდა:**

**— ქალბატონო თამარ, რას იტყვით კოტე კუბლაშვილის განცხადებაზე, თითქოს ქართული სასამართლო სისტემა დამოუკიდებელია და სასამართლო რეფორმაც წარმატებით მიმდინარეობს?**

– ერთი მე მკითხოს კოტე კუბლაშვილმა, რამდენად დამოუკიდებელია ქართული სასამართლო სისტემა! კი, თავად კუბლაშვილისთვის სასამართლო წარმატებულიცაა და დამოუკიდებელიც, რადგან მთელი სისტემა მისი და მისი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს ემსახურება. მის მარწუხებშია მოქცეული მთელი სისტემა, ერთეული მოსამართლეების გარდა, ყველანი მისი ნების, მისი დაკვეთის უსიტყვოდ აღმსრულებელნი არიან და აბა, რას იტყოდა? უბედურება ის არის, რომ საზოგადოებისთვის არ არის ეს სასამართლო დამოუკიდებელი და არც „რეფორმის“ შემდეგ შეცვლილა რაიმე სასიკეთოდ. კუბლაშვილის ამ მონა მოსამართლეების ხელში ვერანაირი რეფორმა ვერ განხორციელდება.

**— თქვენ რის გამო გდევნიდათ კოტე კუბლაშვილი?**

– უზენაეს სასამართლოში რამდენიმე მოსამართლე ვიყავით, ვინც მის დაკვეთებს არ ვასრულებდით. როცა კუბლაშვილის დაკვეთას ვამბობ, ეს თავისთავად პროკურატურის დაკვეთას ნიშნავს, რადგან კუბლაშვილი და მისი მონა მოსამართლეები პროკურატურის ნების უსიტყვო აღმსრულებლები იყვნენ. ერთი სისხლის სამართლის საქმის შესახებ მოგითხრობთ და დანარჩენი თავად განსაჯეთ. კახეთის ერთ-ერთ სოფელში, ერთი გლეხი სახლიდან არაყს ყიდდა. მასთან მივიდა ნასვამი მეზობელი და ერთი ლიტრი არაყი სთხოვა ნისიად. იმან უარი უთხრა. ღამით ეს მეზობელი, რომელსაც არაყი არ მისცეს, მთვრალი შევიდა იმ არყის გამყიდველის მარანში, 20-ლიტრიანი ბოცის მოპარვა უნდოდა, მაგრამ ბოცა გაუტყდა. არყის გამყიდველმა მეზობელს უჩივლა. საქალაქო სასამართლომ 8 წელი მიუსაჯა ამ კაცს 20 ლიტრი არყის ქურდობისთვის. საკასაციომ გაუნახევრა და 4 წელი დაუტოვა. პროკურატურამ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება უზენაესში და ეს საქმე მე დამაწერეს. პროკურატურამ წერილიც მოაყოლა, 4 წელი ძალიან ლმობიერი სასჯელია ამ დანაშაულისთვის და მოითხოვდა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დაგვეტოვებინა, ანუ ისევ 8 წელი მიგვესაჯა ამ ადამიანისთვის. განზრახ მკვლელობისთვის სასჯელის ათვლა 7 წლიდან იწყება და პროკურატურა 8 წელს ითხოვდა 20 ლიტრი არყის ქურდობისთვის, რომელიც ვერც მოიპარა იმ კაცმა, იმ არყით ვერ ისარგებლა და მარანში დაეღვარა. გესმით თქვენ, რა ხდებოდა? ავდექი და ეს არყის ქურდი სასამართლო დარბაზიდან გავათავისუფლე პირობითი სასჯელით. ჩემამდე მოაღწია ხმებმა, რომ ჩემი ეს გადაწყვეტილება კუბლაშვილს არ მოეწონა, მერე სხვებიც არ მოეწონა. არ ვუშვებდი უდანაშაულო ხალხს ციხეში, არ გამომქონდა მსუბუქ დანაშაულში ბრალდებულთათვის 20 და 25-წლიანი სასჯელები. ვერ მაქცია კუბლაშვილმა თავისი, ანუ პროკურატურის ნების აღმსრულებლად და ამიტომაც დამიპირისპირდა. გერმანიაში ვიყავი მოსამართლეთა კონფერენციაზე, იქ დამირეკა და მითხრა, დაწერე განცხადება და წადიო. ეს 2005 წელს ხდება. ერთი ამბავი ავტეხე გერმანიაში, საერთაშორისო ორგანიზაციები ჩავაყენე საქმის კურსში, თუმცა, ამას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. კუბლაშვილს მწვანე ჰქონდა ანთებული და რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა.

**— ამ დროს უკვე გამოცხადებული ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს ნულოვანი ტოლერანტობა დანაშაულის მიმართ?**

– კი, უკვე გამოცხადებული ჰქონდა და ამ ნულოვანმა ტოლერანტობამ გაუხსნა ხელ-ფეხი პროკურატურასა და შს სამინისტროს, რომ უამრავი უდანაშაულო ადამიანი ჩაესვათ ციხეში, 2-3 წლის ნაცვლად, ხალხს 20 წელს უსჯიდნენ. ერთ კონკრეტულ შემთხვევასაც გავიხსენებ. ერთმა კაცმა ჩაიდინა დანაშაული. ნასამართლევი არ იყო. როცა არასრულწლოვანი იყო, მაშინ ჰქონდა ჩადენილი დანაშაული, მაგრამ ეს რეციდივად არ ითვლება, ანუ ნასამართლობაში არ ეთვლება. ადგნენ და არასრულწლოვან ასაკში ჩადენილი დანაშაული რეციდივად ჩაუთვალეს და 23 წელი მიუსაჯეს. გესმით? 4 წელი ციხე ეკუთვნოდა და 23 წლით გაუშვეს ციხეში, 19 წელი ტყუილად, უკანონოდ მიუსაჯეს და ადამიანი დაღუპეს. ერთს კი 2 ბოთლი ლუდის ქურდობისთვის 11 წელი მიუსაჯეს... აი, ასეთი განაჩენების გამოტანა არ ვიკადრე.

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*



**„პირდაპირ მითხრეს: კოტე და პავლე კუბლაშვილებს სათათბირო ოთახიდან გავყავდით და გვეუბნებოდნენ, კონკრეტულ საქმეზე რა გადაწყვეტილება უნდა მიგვეღო, ჩვენ არაფერს გვეკითხებოდნენ, რა სასჯელსაც გვეტყოდნენ, ის გამოგვქონდა, ერთი წლის ჩამოკლების უფლებაც კი არ გვქონდაო“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გიგი უგულავამ სასამართლოდან შუამდგომლობის გატანა გადაწყვიტა




უგულავას განცხადებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ უფლებამოსილების აღდგენის თაობაზე მის შუამდგომლობასთან დაკავშირებით სასამართლო სხდომა კიდევ ერთხელ გადაიდო. მისი თქმით, სიტუაცია უკვე სრულიად კომიკურია და სასაცილო მდგომარეობაში აყენებს საქართველოს მთავრობასა და პროკურატურას.

„სასამართლო მთავრობის გააფთრებულ ზეწოლას განიცდის, რომ მოსამართლემ არ გამოიტანოს ერთადერთი შესაძლო გადაწყვეტილება და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით არ აღადგინოს პირდაპირი წესით არჩეული მერი. ხელისუფლება პანიკაშია და ისიც კი ვერ გაუცნობიერებია, რომ ჩემთვის და ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის, ასევე ქვეყნისთვის, იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, მე, გიგი უგულავა, ერთი კვირით შევალ თუ არა ოფისში, არამედ მნიშვნელოვანია, რომ მომავალში ყველა არჩეული პირი განთავისუფლდეს მთავრობის აღვირახსნილი მცდელობისგან პროკურატურის საშუალებით, გზიდან ჩამოიცილონ არასასურველი ოპონენტები. რამდენიმე კვირის განმავლობაში, სასამართლო პროცესებზე პროკურატურის არდასწრება, სახელმწიფოს უსუსურობა და ინსტიტუტების აბუჩად აგდება ნამდვილად რთულად საყურებელია ჩვენთვის, ვინც წლების განმავლობაში, ამ სახელმწიფოს ძლიერებისა და ფუნდამენტის ჩაყრისთვის ყველაფერი გავაკეთეთ. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, დავასრულოთ ეს კომედია და გამაქვს ჩემი შუამდგომლობა“, – განაცხადა უგულავამ. (ინტერპრესნიუსი)

*მესამე გვერდიდან*

იმ ნულოვანი ტოლერანტობის ფონზე, უზენაეს სასამართლოში ძალიან ბევრი გამამართლებელი განაჩენი და მსუბუქი სასჯელი იყო და ეს არ აწყობდა კუბლაშვილს, ჩვენ გამო ზურაბ ადეიშვილის დაკვეთას პირნათლად ვერ ასრულებდა. ამიტომაც, ადგა და ვისზეც ყველაზე მეტი გამამართლებელი და მსუბუქი განაჩენი მოდიოდა, ჯერ ის მოსამართლეები გამოგვიშვა. ერთი წელი



„საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა, ზაზა მეიშვილმა და მაია ოშხერელმა სულხან მოლაშვილს 9 წელი რომ მიუსაჯეს, ზუსტად 2 კვირაში, ორივე დააწინაურეს და უზენაეს სასამართლოში გადმოიყვანეს. სამაგიეროდ, ვინც მოთხოვნებს არ დაემორჩილა, ყველა გაუშვა სასამართლო სისტემიდან და ზოგიერთები ციხეშიც აღმოჩნდნენ“

გვეჭიდავა და ბოლოს მაინც მიაღწია თავისას. 2006 წელს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საპროცესო ნორმების დარღვევაში დაგვდო ბრალი და ამის საფუძველზე გაგვათავისუფლეს.

ჩვენ შემდეგ დაიწყო სასამართლო სისტემის მასობრივი წმენდა, ვინც მათი ნების უსიტყვო აღმსრულებელი არ იყო, თითქმის ყველა გამოუშვეს. ვინც დარჩა, ისინი ხომ მონებად აქცია კუბლაშვილმა და ახლებიც მოიყვანა. იმდენად დაიმონა ეს მოსამართლეები, რომ ბოლოს უკვე კუბლაშვილის მითითებები აღარ სჭირდებოდათ, თავადვე უსიტყვოდ ასრულებდნენ პროკურატურის ნებისმიერ დაკვეთას. მე შევხვდი ისეთ მოსამართლეებს, წლების მანძილზე კუბლაშვილის ნოტარიუსები რომ იყვნენ. მათ პირდაპირ მითხრეს: კოტე და პავლე კუბლაშვილებს სათათბირო ოთახიდან გავყავდით და გვეუბნებოდნენ, კონკრეტულ საქმეზე რა გადაწყვეტილება უნდა მიგვეღო, ჩვენ არაფერს გვეკითხებოდნენ, რა სასჯელსაც გვეტყოდნენ, ის გამოგვქონდა, ერთი წლის ჩამოკლების უფლებაც კი არ გვქონდაო. მერე ეს მოსამართლეები, სხვადასხვა მიზეზით, კოტე კუბლაშვილმა გამოყარა სამსახურიდან და ამიტომაც, დღეს თამამად ლაპარაკობენ ამაზე. პირდაპირ ამბობს ეს ხალხი, ძალიან გვეშინოდა და ძმები კუბლაშვილების ნებას იმიტომ დავყვებოდით, სამსახურის დაკარგვის დარდი ნაკლებად გვქონდა, თუ მათ დაკვეთას არ შევასრულებდით, დაგვიჭერდნენო. პირდაპირ არ ემუქრებოდნენ, მაგრამ იყო მინიშნებები. რა, ერთი და ორი უდანაშაულო მოსამართლე ჩასვეს ციხეში?

**— სამაგიეროდ, კოტე კუბლაშვილი იმ მოსამართლეებს სწყალობდა, ვინც მას მართლა მონურად ემორჩილებოდა.**

– რა თქმა უნდა, ასე იყო. მაგალითად, საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა, ზაზა მეიშვილმა და მაია ოშხერელმა სულხან მოლაშვილს 9 წელი რომ მიუსაჯეს, ზუსტად 2 კვირაში, ორივე დააწინაურეს და უზენაეს სასამართლოში გადმოიყვანეს. სამაგიეროდ, ვინც მოთხოვნებს არ დაემორჩილა, ყველა გაუშვეს სასამართლო სისტემიდან და ზოგიერთები ციხეშიც აღმოჩნდნენ. ციხეში კუბლაშვილმა გაუშვა-მეთქი, ასე ხელაღებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ეს მოსამართლეები მონები რომ არ გახდნენ, ამის გამო, სწორედ კუბლაშვილის სასამართლომ გაიმეტა საციხედ, ეს იყო მიზეზი, სხვა არაფერი.

კოტე კუბლაშვილი რომელი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობს? „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, 350 000 გადაწყვეტილება აქვს ამ სასამართლო სისტემას გამოტანილი და ნახევარზე მეტი უკანონოა, პროკურატურაში 22 000 საჩივარია შესული სხვადასხვა მოსამართლეებზე და მათ უმძიმეს სისხლის სამართლის დანაშაულში სდებენ ბრალს. სასამართლოს დღევანდელი შემადგენლობა, რამდენიმე მოსამართლის გარდა, მთლიანად შესაცვლელია. ამ მოსამართლეებს მრავალი უკანონობა აქვთ ჩადენილი და ვიდრე ისინი სისტემიდან არ წავლენ, სასამართლო დამოუკიდებელი ვერ გახდება. კოტე კუბლაშვილი და მისი უტყვად მორჩილი მოსამართლეები ერთად უნდა წავიდნენ, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. ხელისუფლებამ მართლა მისცა სასამართლოს სრული დამოუკიდებლობა, მაგრამ მონა ვერასდროს გახდება შინაგანად თავისუფალი. ეს მოსამართლეები საკუთარი უკანონო გადაწყვეტილებების მძევლებიც არიან. ახლა ვინმემ პროტესტი რომ გამოთქვას, მათ ნებას რომ შეეწინააღმდეგოს, მერწმუნეთ, არც ერთს არ დატოვებენ სამსახურში და თუ დასჭირდათ, მათი დანაშაულის დამამტკიცებელ ფაქტებს, პროკურატურასაც გადაუგზავნიან. აი, ამის ეშინიათ ამ მოსამართლეებს და ამიტომაც არის, რომ კვლავ მონურ ერთგულებას იჩენენ კოტე კუბლაშვილის მიმართ.

**— ხელისუფლებამ ხომ იცოდა, რომ მოსამართლეთა ეს კორპუსი ძალიან გასვრილი იყო და ესენი დამოუკიდებელ მოსამართლეებად ვერ იქცეოდნენ? რატომ არ გაწმინდა სასამართლო სისტემა და მერე არ დაიწყო სასამართლო რეფორმის განხორციელება? ჩემი აზრით, ეს ძალიან დიდი შეცდომა იყო.**

– გეთანხმებით, მოსამართლეთა ამ კორპუსით ვერანაირ რეფორმას ვერ გაატარებ, ეს სისულელეა. ხელისუფლება არ ერევა სასამართლოს საქმეში, ეს ასეც უნდა იყოს. თუმცა, არსებობენ სახელისუფლებო სტრუქტურები, რომელთა უშუალო მოვალეობაც, უკანონობის აღკვეთა და დამნაშავეთა დასჯაა. უკანონობა და დამნაშავენი სასამართლო სისტემაში რომ არიან, სხვაგან იმდენი ძნელად მოიძებნება. მიხვდით, ალბათ, რასაც ვგულისხმობ.

**— პროკურატურა რომ არ აქტიურობს, იმაზე მიმანიშნებთ?**

– რასაკვირველია. იუსტიციის უმაღლესი საბჭო კოტე კუბლაშვილის ხელშია, იქ მას აქვს ხმათა უმრავლესობა და ამ მექანიზმით იმ მოსამართლეებს, უკანონო გადაწყვეტილებები რომ აქვთ გამოტანილი, დისციპლინარულ დევნასაც ვერ გამოუცხადებ, საბჭო გადაეფარება მათ. თანაც, ამ საბჭოს თავმჯდომარეც ხომ კუბლაშვილია. ამიტომ, პროკურატურა უნდა გააქტიურდეს. მოგახსენეთ, რომ 22 000 საჩივარია შესული კონკრეტული მოსამართლეების წინააღმდეგ და თუ გსმენიათ, რომ ერთზე მაინც აღძრულიყოს სისხლის სამართლის საქმე? უნდა დაიწყოს ამ საქმეებზე სამართალწარმოება და მერწმუნეთ, ძალიან ბევრ მოქმედ მოსამართლეს მოუწევს სისხლის სამართლის წესით პასუხისგება.

დღეს სასამართლო სისტემა ერთი პოლიტიკური ძალის, ისევ „ნაცმოძრაობის“ სამსახურშია. ისევ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებს კოტე კუბლაშვილი და სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც კი აბსურდია.



„კოტე კუბლაშვილი რომელი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობს? „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, 350 000 გადაწყვეტილება აქვს ამ სასამართლო სისტემას გამოტანილი და ნახევარზე მეტი უკანონოა, პროკურატურაში 22 000 საჩივარია შესული სხვადასხვა მოსამართლეებზე და მათ უმძიმეს სისხლის სამართლის დანაშაულში სდებენ ბრალს“

**— კოტე კუბლაშვილის სასამართლო რომ კვლავ „ნაციონალთა“ დაკვეთას ასრულებს, ამას „ალია ჰოლდინგის“ წინააღმდეგ სასამართლო სისტემის შეთქმულებაც ადასტურებს. შესაძლოა, თქვენც საქმის კურსში ხართ იმ უსამართლობის შესახებ, რაც ჩვენ დაგვატეხეს თავს კუბლაშვილის მონა მოსამართლეებმა. კერძოდ, „ქრონიკაში“ გამოქვეყნდა „სახალხო კრების“ წევრის, ელიზბარ ჯაველიძის ინტერვიუ, რომელშიც ის მსახიობ ოთარ კობერიძეს პედოფილიის ძველ ამბავს უხსენებდა. მიხეილ სააკაშვილის საყვარელმა მსახიობმა სასამართლოში უჩივლა „ალია ჰოლდინგს“ და ღირსებისა და პატივის შელახვისთვის, კომპენსაციად 50 000 ლარი მოითხოვა. სასამართლომ უმალ დააკმაყოფილა კობერიძის სარჩელი, თანაც ისე, რომ მეორე მხარის, „ალია ჰოლდინგის“ მოწმეები არ დაუკითხავს. ეს სხვა არაფერია, თუ არა შურისძიება „ალიასა“ და „ქრონიკის“ წინააღმდეგ, რომლებიც მუდამ ყელში ეჩხირებოდათ სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“, რადგან ორივე მათგანი მრავალ დანაშაულსა და უზნეობაში ამხელდა მათ.**

– მსმენია ამ საქმის შესახებ, თუმცა დეტალები არ ვიცი. ის კი შემიძლია ვთქვა, რომ, თუ კონკრეტული პიროვნება, ამ შემთხვევაში ელიზბარ ჯაველიძე ვინმეს რაიმეში სდებდა ბრალს და თქვენ ამის ტირაჟირება მოახდინეთ, რატომ დაგსაჯეს? გაზეთსა და ჟურნალისტს ხომ არაფერი გამოუგონებიათ. სამოქალაქო საქმის სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ იმდენი კი ვიცი, რომ ასეთ შემთხვევაში „ალია ჰოლდინგისთვის“ არ უნდა მოეთხოვათ პასუხი. რაც შეეხება დაკისრებულ თანხას, ეს მართლაც უპრეცედენტოა. ამხელა თანხებით ევროპასა და ამერიკაში აჯარიმებენ მედიასაშუალებებს, მაგრამ არამც და არამც, რესპონდენტის ნათქვამის გამო. საქართველოში კანონი არ კანონობს, სასამართლო კუბლაშვილის კანონებით და ნებით იმართება და ამიტომაც გახდით უსამართლობის მსხვერპლი.

მე „ალიასა“ და „ქრონიკის“ მკითხველი ვარ და კარგად ვიცი, რამხელა წვლილი მიგიძღვით სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლაში. თქვენ დღესაც ებრძვით იმ უსამართლობას, რასაც „ნაცმოძრაობა“ სჩადიოდა წლების მანძილზე და მართლა ყელში ჰყავდით გაჩხერილი „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს. ცხადია, ეს არ გაპატიეს და ამიტომაც დაგაკისრეს ეს უსამართლო ჯარიმა. კი, ეს „ნაციონალთა“ შურისძიებაა და სხვა არაფერი – კოტე კუბლაშვილმა მორიგი პოლიტიკური დაკვეთა შეასრულა.

„თქვენ დღესაც ებრძვით იმ უსამართლობას, რასაც „ნაცმოძრაობა“ სჩადიოდა წლების მანძილზე და მართლა ყელში ჰყავდით გაჩხერილი „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს. ცხადია, ეს არ გაპატიეს და ამიტომაც დაგაკისრეს ეს უსამართლო ჯარიმა. კი, ეს „ნაციონალთა“ შურისძიებაა და სხვა არაფერი — კოტე კუბლაშვილმა მორიგი პოლიტიკური დაკვეთა შეასრულა“

**— ამ მონა მოსამართლეებს კუბლაშვილი, ეტყობა, სოლიდურადაც უხდის, მონობის ხარისხის ადეკვატურად. საქალაქო სასამართლოს მიერ „ალია ჰოლდინგისთვის“ უკანონო გადაწყვეტილების მიმღები ერთ-ერთი მოსამართლე მაია ბაქრაძე დეკლარირებული მილიონერია, ამის დამადასტურებელი ფაქტები ახლახან „ქრონიკაში“ გამოქვეყნდა. საქართველოში, სადაც 450 000 ადამიანი 60-ლარიან შემწეობას იღებს, მოსამართლეებს ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად, მდიდრდებიან ბიუჯეტის ხარჯზე.**

– ეს ბიუჯეტი ხალხის შრომით არის შევსებული და მოსამართლეები ამ ხალხის ნაოფლარით მდიდრდებიან. არ მიკვირს არც ბაქრაძის და არც სხვების დიდძალი ქონება. კოტე კუბლაშვილი თავის ერთგულ, მონა მოსამართლეებს ანებივრებს, თავის რჩეულებს უწერს სოლიდურ პრემიებს და ანებივრებს. გარდა ამისა, ცალკე აქვს საპრემიო ფონდი. თქვენ მართალი ხართ, ყველა მოსამართლე ტერორის, შანტაჟისა და შიშის გამო არ ემონება კუბლაშვილს. ძალიან ბევრს, ეს მაღალი პრემიები და კომფორტული ცხოვრება არ ეთმობა და მზად არიან, ამის საფასურად ნებისმიერ უკანონობას მოაწერონ ხელი. უდანაშაულო ადამიანების გაუბედურების ხარჯზე მდიდრდებიან კუბლაშვილის მოსამართლეები. ეს უზნეობა და დანაშაულია. სწორედ ეს არის ელიტური კორუფცია, დაკანონებული კორუფცია, მაგრამ მაგათ ეს დანაშაულად არ მიაჩნიათ.

**ლევან ჯავახიშვილი**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ევროსაბჭოს გენერალურ მდივნად ისევ იაგლანდი აირჩიეს



ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ტორბიორნ იაგლანდი ევროსაბჭოს გენერალურ მდივნად 5-წლიანი ვადით მეორედ აირჩია. პირველივე ტურში მან ხმათა უმრავლესობა – 249-დან 156 ხმა მიიღო.

ევროსაბჭოს გენერალურ მდივნად იაგლანდი პირველად 2009 წელს აირჩიეს. იმავე წელს იგი ასევე ნორვეგიის ნობელის კომიტეტის თავმჯდომარედ იქნა არჩეული. 2005 წლიდან 2009-მდე იაგლანდი ასევე ნორვეგიის პარლამენტის პრეზიდენტი იყო. იაგლანდი ევროსაბჭოს გენერალურ მდივნად მუშაობას ოფიციალურად 2014 წლის 1-ლი ოქტომბრიდან შეუდგება. (ნიუპოსტი)

## „არ უნდა გავხდეთ რუსეთის გეგმის ნაწილი“

თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, დე ფაქტო ცხინვალის რეგიონში ჩატარებულ რეფერენდუმს არანაირი მნიშვნელობა არ ექნება არც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის და არც საქართველოსთვის.

„ნებისმიერი ფორმით დე ფაქტო ცხინვალის რეგიონში, მათ მიერ ჩატარებულ არჩევნებს, რეფერენდუმს, პლებისციტს, არ ექნება არანაირი მნიშვნელობა არც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის და არც ჩვენთვის, იმიტომ, რომ ეთნიკური წმენდის შემდეგ გამოდევნილი ქართული მოსახლეობა და არამარტო ქართული, არ მონაწილეობს ამ დადგმულ სპექტაკლში. აქედან გამომდინარე, მსოფლიოსთვის და ჩვენთვის არანაირი სამართლებრივი შედეგების მატარებელი არ იქნება. ამიტომ სერიოზული განცხადების გაკეთება ამ კუთხით მნიშვნელოვნად არ მიმაჩნია. ერთი, რაც აღნიშვნის ღირსია, არის ის, რომ რუსეთის ფედერაციაში გეგმა აქვთ, რომ კიდევ უფრო მეტი ზემოქმედება მოახდინონ ქართველ საზოგადოებაზე. ეს გეგმა დაისახა უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში გარკვეული პერიოდის წინ და იმ გეგმის მიხედვით ვითარდება მოვლენები, ამიტომ არ უნდა ავყვეთ, ჩვენ ჩვენი ხედვა გვაქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვექცეთ ჩვენი მოწინააღდეგეების გეგმის ნაწილად“, – განაცხადა მინისტრმა. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





სხვა სამწუხარო გამოცდილებაც მაქვს ფულის გადმოტანასთან დაკავშირებით. 2007 წლის ნოემბრის მოვლენების წინა პერიოდია. ღვთის წყალობით, სამართალდამცავებში ჯერ კიდევ შემომრჩნენ მეგობრები და მოსკოვში მომაწვდინეს ხმა, თითქოს ხელისუფლებას ჰქონდა ინფორმაცია, რომ მე და თემურ შაშიაშვილი ერთად ვეზიდებოდით მილიონებს ბადრი პატარკაციშვილისთვის მოსკოვიდან. მე და თემურს დღეს ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ მაშინ დიდი მეგობრული ურთიერთობა არ გვქონდა, ერთი-ორჯერ სიტყვიერადაც „წავეხმალავეთ“ ერთმანეთს. გარდა ამისა, ამათ ბადრისთან ჩემი ურთიერთობის შესახებაც უნდა სცოდნოდათ. როდესაც ოპერატიული ინფორმაცია მოგდის, ამას სჭირდება შეფასება, ანალიზი და შემდეგ მოქმედებამშრომელი აღმოჩნდა, კაცი აიწურა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. გახსნეს ჩანთა, მთლიანად არ გამაშიშვლეს, მაგრამ არც არაფერი დააკლდა. მანქანა მთლიანად შეამოწმეს, ქვემოდან სარკეებით, სულ გადმოატრიალეს ყველაფერი. ერთი წიგნი მქონდა – „საქართველოს ისტორია“, რომელსაც სათითაოდ დაუწყეს ფურცვლა. მე ვუთხარი: ამიხსენით, რამდენი ათასი დოლარი შეიძლება დაეტიოს ამ წიგნში, რაღაცას რომ გავალებენ, ხომ უნდა გააკეთოთ აზრიანად და ჭკვიანურად-მეთქი? ისე იქცეოდნენ, ისეთ რაღაცებს აკეთებდნენ, საკუთარ თავს აყენებდნენ შეურაცხყოფას. მოკლედ, საზღვარზე გამაჩერეს 3 საათი. როცა ვერაფერი აღმომიჩინეს, 3 ტელეფონი მქონდა, ახლა იმაზე დაიწყეს, უნდა განაბაჟოო. ჯერ ერთი, მანქანაში სამნი ვიყავით და მეორეც – ფასების მიხედვით განბაჟება არ ეხებოდა, ბავშვებისთვის მომქონდა საჩუქრად. ამ ფაქტის გახსენებით იმის თქმა მინდა, რომ „ნაციონალები“ რაზეც ფიქრობენ, რაც თავად აპრობირებული აქვთ, იმას აბრალებენ ხოლმე სხვასაც. „ქეში“ ფულის მოძრაობის სქემები მათ დიდი ხანია დამუშავებული აქვთ და სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილსაც კი წამოსცდა, 2008 წლის ომის პერიოდში ხეთაგური გავტეა, რომ ზუსტად ვერ დაადგინეს, რა მოხდა. იყო, არ იყო, ბოლოს საქმე ქილიკობამდეც მივიდა, მაგრამ მე ვიცნობ რა, „ნაციონალების“ ცხოვრების წესს, შესაძლებელია, თანხა ნამდვილად გადმოჰქონდათ და ეტყობა, ყველაზე გამოუცდელი ჯგუფი ჩავარდა. თუ გადახედავენ მაგათი დეპუტატების მოძრაობას, ვინ რამდენჯერ მიფრინავდა აზერბაიჯანში, ადვილად მიხვდებიან, რასთან გვაქვს საქმე.

**— ზოგი ვერსიით, „ნაციონალი“ დეპუტატების ჯგუფი ერთად კი ჩავიდა ბაქოში, მაგრამ მერე იქ გაიყვნენ და ცალ-ცალკე წამოვიდნენ. თქვენ ფიქრობთ, რომ ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე ჩავარდნენ, ხოლო დანარჩენებმა ფული გადმოიტანეს?**

– მე ვფიქრობ, ყველამ გადმოიტანა, ფული დაანაწილეს, რომ ერთ კალათში არ ყოფილიყო, მაგრამ ყველაზე გამოუცდელი ჯგუფი ჩავარდა. სამწუხაროდ, ამას ვერ ამტკიცებენ, ინფორმაცია ძალიან მწირია. ამას ვამბობ მე, ვისაც ფულის გათეთრებასთან და უკანონო მიმოქცევასთან პროფესიული შეხება მქონია.

**— შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში, როცა თქვენ უშიშროების მინისტრი იყავით და სააკაშვილის საძმოს ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი გაუჩნდა, მათ დიდი ფული გაუჩნდათ. გქონდათ, ინფორმაცია, საიდან იკვებებოდნენ?**

# უშიშროების ექს-მინისტრი ბაქოდან „შავი ფულის“ გადმოტანის მეთოდს შიფრავს

**როგორ თეთრდება ფული საქართველოში? რა სქემებით მუშაობენ დღემდე „ნაციონალები“ ამ კუთხით? როგორ შოულობდა ფულს მიხეილ სააკაშვილი, ვინ აფინანსებდა „თავისუფლების ინსტიტუტს“ და რა მოხდა აზერბაიჯანში ერთი კვირის წინ?**

**„ალიას“ საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი, ვალერი ხაბურძანია ესაუბრება:**

– მე პროფესიული გამოცდილების გარდა ის დაგეგმვა. ამათ პირდაპირ დაგეგმეს. ალბათ, გახსოვთ, მაშინ მოსკოვიდან თბილისის მიმართულებით პირდაპირი ფრენა არ იყო, ერევანში ჩავფრინდი და იქიდან წამოვედი მანქანით საქართველოში. გამაჩერეს საზღვარზე, ცოტა ზრდილობიანად მომმართეს და მითხრეს, უნდა გაგჩხრიკოთ, შერჩევით ყველას ვჩხრეკთო. მე ვუთხარი, ჩემი შერჩევა არ შეიძლება, შემთხვევითი იყოს, მაშინ უნდა მითხრათ, რაზე გაქვთ ეჭვი-მეთქი. იქ ერთი ჩემი ყოფილი თანაგზავნე აზერბაიჯანში სანწავის გადმოსატანად, ხოლო კობა სუბელიანი გავაგზავნე სადღაც, ფული რომ წამოეღო „ქეშადი“.

**— როგორც ჩანს, „ნაციონალებს“ აზერბაიჯანის მიმართულებით მაგარი ტრასა აქვთ გაჭრილი.**

– დეპუტატებს დიპლომატიური პასპორტები აქვთ და, წესით, არ უნდა ჩხრეკდნენ, მაგრამ მე თუ მკითხავთ, დიპლომატიური პასპორტი უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს. სხვათა შორის, ჩვენი საელჩოს სისუს– სააკაშვილის ჯგუფს თავიდან ჰქონდა მწირი შესაძლებლობები, ფულს დასაწყისში შოულობდნენ პარტიულ სიაში ადგილების გაყიდვით. მაგალითად, სააკაშვილს 2003 წლის არჩევნებში გაყიდული ჰქონდა 2 ადგილი, ამისი ინფორმაცია მაქვს, ერთი გამსვლელი ადგილი ღირდა 250 ათასი დოლარი. ასე რომ, სანამ „ნაციონალები“ კორუფციაზე ლაპარაკს

*გაგრძელება*
*მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საჯარო დაწესებულებების შემოსავლები და ხარჯები

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.

2013 წელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, „საქპატენტის“ მიერ ინტელექტუალური საკუთრების დამცავი დოკუმენტების გაცემით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 6 836 400 ლარი. ცენტრში გასულ წელს შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 3 327 400 ლარის ხარჯი. 2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საშტატო ნუსხით ცენტრის თანამშრომელთა რაოდენობა განსაზღვრულია 104 ერთეულით.

„საქსტატიდან“ მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით, 2012 წლიდან შეინიშნება სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია. დაწესებულებაში 2012 წლის 1-ლი იანვრისთვის მოქმედი საშტატო ნუსხით განსაზღვრული იყო 149 თანამშრომელი, ხოლო 2014 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით 211 თანამშრომელი. მაქსიმალური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2 900 ლარს, ხოლო მინიმალური – 600 ლარს.

საქართველოს ეროვნულ ბანკშიც 2012 წლიდან შეინიშნება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია. დაწესებულებაში 2012 წლის 6 თებერვლის საშტატო ნუსხით განსაზღვრული იყო 308 თანამშრომელი, ხოლო 2014 წლის მარტისთვის მოქმედი საშტატო ნუსხის მიხედვით ეროვნულ ბანკს 342 თანამშრომელი ჰყავს.

2014 წლის მარტის მონაცემებით, ბანკის ბალანსზე სხვადასხვა წელს შეძენილი 31 სატრანსპორტო საშუალება ირიცხება, რომელთა შესყიდვის ფასი შეადგენს ჯამში 1 765 435 ლარს, მათი ნარჩენი ღირებულება კი 624 598 ლარია. გასულ წელს ბანკმა 49 857 ლარად შეფასებული „Audi A6“ მარკის ავტომობილი 67 383 ლარი ღირებულების „Toyota Camri“-ით ჩაანაცვლა. ეროვნულ ბაკში 2013 წელს თანამდებობის პირების სამივლინებო ხარჯებისთვის გაიცა 148 797 ლარი, ხოლო წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის – 144 101 ლარი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2013 წელს სახალხო დამცველის აპარატში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ 6 185 განცხადება შევიდა. აქედან დასაშვებად იქნა ცნობილი 4 613 განცხადება, დაუშვებლად – 1 024, მართლმსაჯულების დეპარტამენტს გადაეცა 1 839 განცხადება, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტს – 2 041, ბავშვთა ცენტრს – 125, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრს – 116 განცხადება, გენდერულ თანასწორობათა დეპარტამენტს – 102, ხოლო რეგიონალურ სამმართველოს 390.

2013 წლის მანძილზე სახალხო დამცველის მიერ ქვეყნის გარეთ განხორციელებულ 10 ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტზე 8 937 ლარი დაიხარჯა, მის „როუმინგულ“ მომსახურებაზე კი – 11 808 ლარი. სახალხო დამცველის აპარატის მიერ გასულ წელს გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა შეადგინა 17 391 ლარი.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ 2013 წლის განმავლობაში გადაუდებელი აუცილებლობით 28 შესყიდვა განახორციელა, რისთვისაც ჯამში 86 797 ლარი დაიხარჯა. ბიუროში გასულ წელს „როუმინგულ“ მომსახურებაზე დაიხარჯა 3 560 ლარი, ხოლო თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ მივლინებებზე გაწეულმა ხარჯმა 35 774 ლარი შეადგინა. (ინტერპრესნიუსი)

## უელსის სამიტზე „მაპ“-ზე საუბარი არ იქნება



ნატო-ს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, „უელსის სამიტზე არ იქნება საუბარი „მაპ“-ზე, თუმცა ალიანსი მხარდაჭერას გამოუცხადებს საქართველოს ნატო-სთან დაახლოების კუთხით. ეს იქნება ძირითადი პაკეტი, რომელიც შემუშავდება საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობით სამიტამდე დარჩენილ პერიოდში. მე, სამწუხაროდ, ვერ დაგისახელებთ ელემენტებს, რომლებზეცაა საუბარი, მაგრამ შეგახსენებთ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას – საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა“, – განაცხადა რასმუსენმა. (ნიუპოსტი)

## აუდიტის სამსახური არჩევნებთან დაკავშირებულ ჯარიმებზე ინფორმაციას აქვეყნებს



სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით გამოყენებული ჯარიმების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. მათი ინფორმაციით, საპრეზიდენტო არჩევნების შესწავლის შედეგად 14 სამართალდარღვევის ოქმი იქნება შედგენილი.

„აქედან სასამართლოს მიერ დაჯარიმებულია 12 პოლიტიკური პარტია და საარჩევნო სუბიექტი, 1 საქმე გამოვითხოვეთ სამსახურის მიერ სასამართლო პროცესზე საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გამო, ხოლო 1 საკითხი გადაწყდა პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ“, – აცხადებენ აუდიტის სამსახურში. მათი განმარტებით, აღნიშნული საქმეები შეეხებოდა ინფორმაციების წარმოდგენის ვალდებულების დარღვევებსა და შემოწირულობების დამალვის ფაქტებს.

„კერძოდ: მოძრაობა „სამართლიანი საქართველო“, „ევროპელი დემოკრატები“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „ახალი მემარჯვენეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2-2 ათასი ლარით, „ერთიანი კომუნისტური პარტია“ – 5 ათასი ლარით, „დემოკრატიული მოძრაობა“ – 64 636,86 ლარით, დამოუკიდებელი საარჩევნო სუბიექტები: ნესტან კირთაძე, ქართლოს ღარიბაშვილი, მამუკა მელიქიშვილი – 1000-1000 ლარით, ნინო ჭანიშვილი კი 13935 ლარით დაჯარიმდნენ. „ხალხის პარტია“ სასამართლომ გაამართლა, მიხეილ (გელა) სალუაშვილის წინააღმდეგ საქმე კი გამოთხოვილი იქნა“, – განმარტავენ აუდიტის სამსახურში. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

დაიწყებენ, ჯერ თავიანთ წარსულსა და დღევანდელი ცხოვრების წესს გადახედონ.

დასაწყისში მიშას დიდ ფულს არავინ არ აძლევდა, ცოტ-ცოტას იძლეოდნენ. მაშინ მილიონები არ ტრიალებდა. „თავისუფლების ინსტიტუტს“ აფინანსებდა „ეი-ი-ეს თელასი“, იმ პერიოდში ეს ორგანიზაცია ამერიკელების ხელში იყო და სქოულს თავი მოაბეზრეს ლევან რამიშვილმა და გივი თარგამაძემ. ერთი პერიოდი ბადრი პატარკაციშვილიც აფინანსებდა „ნაცმოძრაობას“, იყო გარედან დაფინანსებაც. თუნდაც გავიხსენოთ ის დაჯავშნილი მანქანა, რომელიც სააკაშვილს რუსეთიდან ჩამოუყვანეს.

**— ეგ ის მანქანაა, იგორ გიორგაძემ რომ აჩუქა?**

– ამ შემთხვევაში პასუხს თავს ავარიდებ, რაღაც ინფორმაციები მქონდა, მაგრამ მე უფრო ვფიქრობ, რომ ეგ მანქანა შავმა სამყარომ აჩუქა. საერთოდ, ჩვენ დროს ფინანსებთან დაკავშირებით ასეთი მკაცრი რეგულაციები არ იყო. როგორც ვხედავთ, სახელისუფლებო პარტიაც კი არღვევს ამ კანონს – „ქართულ ოცნებას“ ხომ გადმოურიცხეს წინასაარჩევნოდ რუსეთში მცხოვრებმა მოქალაქეებმა?

**— „ქართული ოცნების“ ლიდერები ამბობენ, ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, არ ვიცით, ფულს ვინ რიცხავს ჩვენს ანგარიშზეო და თანხები უკან დააბრუნეს.**

– ეგ არის სრული აბსურდი, ამ კანონს ყველა არღვევს. ჩვენთან საერთოდ გადასახედია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი. ბიუჯეტიდან ფინანსდებიან პარტიები, რომლებიც გადალახავენ ბარიერს და ეს არის ერთგვარი კორუფციული სქემა. მიდის ვაჭრობა, ვინ რამდენი პროცენტი უნდა მიიღოს, ვინ რამდენი მიიღო და ასე შემდეგ.

**— ეს არის 5 წლის განმავლობაში უზრუნველყოფის გარანტია. გაუგებარია, რატომ უნდა მივცეთ წელიწადში 150-200 ათასი ლარი 2-კაციან პარტიას?**

– მე ვფიქრობ, უნდა დაიწყოს ამ კუთხით მოძრაობა და პოლიტიკური პარტიები ბიუჯეტიდან აღარ უნდა დაფინანსდნენ. მე არ მსურს, ჩემი გადასახადებით ვარჩინო, მაგალითად, პაატა დავითაია, ვითომ „ევროპელი დემოკრატი“ რომ გახლავთ. მაგას ერჩივნა, ისევ „ჩვენ თვითონ“ ყოფილიყო. თუ პარტიას არ ჰყავს რეალური წევრები, რომლებიც საწევროს იხდიან, ის პარტია უნდა გაუქმდეს, საერთოდ რეგისტრაციაც ვერ უნდა გაიაროს. ამათ ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში ჩააგდეს და პოლიტიკა აქციეს ბიზნესად, რომელიც დამოკიდებულია ბიუჯეტზე. ასევე დაამახინჯეს პრემიების საკითხიც, კომუნისტების დროს წელიწადში ერთხელ იყო მე-13 ხელფასი. ახლა პრემია ათჯერ აღემატება ხელფასს, ეს სადაური წესია? თუმცა ეს წესი შემოიღო „ნაცმოძრაობამ“, რაც იყო ადმინისტრაციული კორუფცია. სხვათა შორის, მსგავსი რაღაცები ამერიკელების დანერგილია საქართველოში. მაგალითად, თავის დროზე ჩემს სამინისტროში, წახალისების მიზნით, და რაღაც სამუშაოს სანაცვლოდ საკმაოდ დიდ თანხებს აძლევდნენ რამდენიმე თანამშრომელს. ერთს მისცეს 80 ათასი დოლარი. ეს მაშინ, როცა მე ხელფასი მქონდა 220 ლარი.

**— ვერ გავიგე, ამხელა თანხებს თქვენი გვერდის ავლით აძლევდნენ?**

– მე ვიცოდი, რომ ზოგიერთს წახალისებას უპირებდნენ, მაგრამ თანხები გადასცეს ჩემი ერთ-ერთი მოადგილის საშუალებით. მე საქმის კურსში არ ვიყავი, მერე გავიგე.

**— ანუ ამ შემთხვევაში საქმე რასთან გვაქვს, მოსყიდვასთან?**

– როდესაც ხელფასზე მეტი პრემია გეწერება, ორიენტირებული ხარ, შეასრულო რაღაც ისეთი სამუშაო. პრემიას ძირითადად რაში იძლევიან? „ორი გვამი მჭირდება, პრემია იქნება დიდი!“ აი, ამაში იძლევიან, და არა სამსახურებრივი საქმიანობისთვის.

**— გამოდის, ამერიკელები თქვენს თანამშრომლებს რაღაც ისეთს აკეთებინებდნენ და უხდიდნენ კიდეც.**

– რა თქმა უნდა. ამაზე უარესიც ხდებოდა... ჩემამდე რუსებიც აკეთებდნენ ასეთ რაღაცებს. კანონით, ამას ადრე ერქვა სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა და გასამრჯელოს მიღება, რაც საკმაოდ მკაცრად დასჯადი იყო. სამწუხაროდ, ამერიკელების მუშაობის სტილი ასეთი იყო საქართველოში, ბევრი ჩინოვნიკი აკეთებდა ფულს ასეთი მეთოდით.

**— ეს მეთოდი, ალბათ, ახლაც მუშაობს.**

– რა თქმა უნდა, ახლაც იქნება... ამიტომ ვამბობ, „ნაციონალებს“ სხვაზე სალაპარაკო არაფერი აქვთ, ათასნაირი კორუფციული თუ ფულის გათეთრების სქემა მათი მოგონილი და დანერგილია. მე სულაც არ მიკვირს, რასაც ეგენი აკეთებენ.



**„მე ვიცნობ „ნაციონალების“ ცხოვრების წესს, შესაძლებელია, თანხა ნამდვილად გადმოჰქონდათ და ეტყობა, ყველაზე გამოუცდელი ჯგუფი ჩავარდა. თუ გადახედავენ მაგათი დეპუტატების მოძრაობას, ვინ რამდენჯერ მიფრინავდა აზერბაიჯანში, ადვილად მიხვდებიან, რასთან გვაქვს საქმე“**



**„პოლიტიკური პარტიები ბიუჯეტიდან აღარ უნდა დაფინანსდნენ. მე არ მსურს, ჩემი გადასახადებით ვარჩინო, მაგალითად, პაატა დავითაია, ვითომ „ევროპელი დემოკრატი“ რომ გახლავთ. მაგას ერჩივნა, ისევ „ჩვენ თვითონ“ ყოფილიყო. თუ პარტიას არ ჰყავს რეალური წევრები, რომლებიც საწევროს იხდიან, ის პარტია უნდა გაუქმდეს“**

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რატომ დაიბარეს „ქართული ოცნების“ ოფისში ტელევიზიების ხელმძღვანელები



„ქართული ოცნების“ ოფისში კოალიციის წარმომადგენლებსა და ექვსი ტელევიზიის ხელმძღვანელს შორის შეხვედრა გაიმართა. ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორის, რეზო საყევარიშვილის განცხადებით, „შეხვედრაზე საუბარი შეეხო მეორე ტურში თბილისის მერობის კანდიდატების სატელევიზიო დებატების ორგანიზებას. კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. ამ ეტაპზე გავცვალეთ ხედვები და შევთანხმდით, რომ კომუნიკაცია მომავალშიც გვექნება. გამომდინარე იქიდან, რომ უცნობია მეორე ტურის თარიღი, დებატების თარიღიც ჯერჯერობით უცნობია“, – განაცხადა საყევარიშვილმა. (ნიუპოსტი)

## დღეს ერთიანი ეროვნული გამოცდები იწყება



ეროვნული გამოცდები ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით იწყება. აბიტურიენტები 08.00 საათზე რეგისტრაციას საგამოცდო ცენტრებში გაივლიან. გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, მაია მიმინოშვილის ინფორმაციით, 2014 წლის ეროვნული გამოცდებისთვის საგამოცდო ცენტრების რაოდენობა 19-მდე გაიზარდა. 7 საგამოცდო ცენტრი გახსნილია თბილისში, სამი საგამოცდო ცენტრი იქნება ქუთაისში, ხოლო დანარჩენ ქალაქებში იქნება თითო-თითო ცენტრი. სულ საგამოცდო ცენტრები გაიხსნება ფოთში, ბათუმში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ქუთაისში, ახალციხეში, გორში, თბილისში, თელავსა და ხულოში.

„ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა ოთხ ნაკადად გაიმართება. 26-27 ივნისი გამოყოფილია ქართული ენისა და ლიტერატურისთვის, შაბათ-კვირას აბიტურიენტები დაისვენებენ, ორშაბათიდან კი დაიწყება ზოგადი უნარების ტესტირება. 16 ივლისს მთლიანად დასრულდება საგამოცდო პროცესი. ეტაპობრივად აბიტურიენტებს შეუერთდებიან მაგისტრობის მსურველები, რომლებიც საგრანტო კონკურსში მონაწილეობენ და პედაგოგები, რომელთაც სურთ სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება“, – განაცხადა მიმინოშვილმა.

გამოცდების ეროვნული ცენტრი 2014 წლის ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურიენტებს სიახლეებს სთავაზობს. მიმინოშვილის თქმით, აბიტურიენტებს საშუალება აქვთ, არჩევით საგნად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაც ჩააბარონ. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ საგნის სწავლება პირველი-მეცხრე კლასის ჩათვლით სავალდებულოა, დამამთავრებელ კლასებში კი არჩევით საგნად ისწავლება. უცხოური ენის გამოცდას დაემატება მოსმენის ნაწილი. გამოცდაზე დაახლოებით 10 წუთი იქნება გამოყოფილი იმისთვის, რომ აბიტურიენტებმა მოისმინონ უცხო ენის ტექსტი და მის საფუძველზე გააკეთონ რვადავალებიანი სავარჯიშო, შესაბამისად, ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური შეფასება იქნება 8 ქულა.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დარეგისტრირებულია 36 000-მდე აბიტურიენტი, პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდისათვის 20 000-მდე აპლიკანტი, სტუდენტთა საგრანტო კონკურისათვის 4 500-მდე სტუდენტი, ხოლო საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის 12 000-მდე აპლიკანტმა გაიარა რეგისტრაცია. (ინტერპრესნიუსი)

## „არ წამოვეგოთ პროვოკაციებს“



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, კვლევის მიხედვით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან უმოკლეს პერიოდში ეკონომიკა 4,3%-ით, ხოლო ექსპორტი 12%-ით გაიზრდება.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი რიცხვია. თუმცა, ეს არის იმის გაუთვალისწინებლად, რა მასშტაბის და მოცულობის ინვესტიცია შეიძლება შემოვიდეს ქვეყანაში. ყველა ჩვენს საერთაშორისო შეხვედრაზე, საერთაშორისო კონფერენციებსა თუ ორმხრივ შეხვედრებზე არის ბუმი, დიდი ინტერესი ევროპელი და არამხოლოდ ევროპელი ინვესტორების მხრიდან. ისინი ძალიან სერიოზულად ელოდებიან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას“, – განაცხადა პეტრიაშვილმა.

რაც შეეხება ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მოსალოდნელ საფრთხეებს, პეტრიაშვილი აცხადებს: „შეიძლება ეს იყოს ეკონომიკური ხასიათის გამოწვევები, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს პირდაპირი ტიპის სამხედრო კონფრონტაცია იყოს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ თავი ავარიდოთ შემდგომ ესკალაციას რეგიონში. ისედაც დაძაბულია ვითარება, როდესაც შენი ქვეყნის ტერიტორიების 20% არის ოკუპირებული რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ. ჩვენ გვაქვს საპასუხო რეაქციები, გეგმები ევროპელ პარტნიორებთან, ევროკავშირთან ერთად. მთავარია, შევინარჩუნოთ სტრატეგიული სიმშვიდე, არ წამოვეგოთ პროვოკაციებს, გავაგრძელოთ ეკონომიკური და დემოკრატიული ინსტიტუტების აღმშენებლობა“. (ნიუპოსტი)

## სერგეენკო მივლინებებში დახარჯულ თანხას ამართლებს



ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს შეფასებით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მივლინებებში დახარჯული თანხა ცალსახად და მრავალჯერადად ამართლებს დანიშნულებას. „უბრალოდ, ჩაგაბარებთ ანგარიშს, რაში დაიხარჯა ეს თანხა. ეს იყო ორი ვიზიტი ჟენევაში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მინისტერიალზე. ასევე ეს იყო ორი შეხვედრა ვაშინგტონში, ჯანმრთელობის საერთაშორისო უსაფრთხოების კონგრესზე. ამ შეხვედრებმა საშუალება მოგვცა, რომ ბევრად დიდი პროექტები წამოგვეწყო საქართველოში. მე ვფიქრობ, ეს თანხა რაც მივლინებებში დაიხარჯა, ცალსახად და მრავალჯერადად ამართლებს დანიშნულებას და ეს არის სწორად დახარჯული თანხა“, – აღნიშნა სერგეენკომ. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





# გოგი თოფაძე: „ევროკავშირში ვიქნებით თუ ნატოში, მიწის გაყიდვა დანაშაულია“

## როგორ აღკვეთს თეა წულუკიანი ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვას?



პარლამენტის მიერ 2013 წლის ივლისში მიღებული ცვლილებები, რომლითაც 2015 წლის იანვრამდე მორატორიუმი გამოცხადდა უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვაზე, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა, „რადგან ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია, ასევე დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“.

2013 წელს პარლამენტმა მორატორიუმი იმ მოტივით დააწესა, რომ მიწების დიდი ნაწილი არ იყო აღწერილი, ან დოკუმენტაციაში იყო შეცდომები და 2014 წლის ბოლომდე ეს ხარვეზები უნდა გამოსწორებულიყო.

**რა პოზიცია აქვს საქართველოს პარლამენტს ამასთან დაკავშირებით?**

**„ალიას“ პარლამენტის წევრი, „მრეწველების“ ლიდერი, გოგი თოფაძე ესაუბრა:**

**— ბატონო გოგი, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა მორატორიუმი. ახლა უცხოელები ისევ კალიებივით მოედებიან, ალბათ, მთელ ქვეყანას და ქართული მიწების ყიდვას გაათმაგებულად შეეცდებიან...**

– ეს არის აბსურდული გადაწყვეტილება, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი მიწების გასხვისება რას ნიშნავს, ინდოეთის მადას ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ, მათი ქვეყანა მცირემიწიანია და ბევრი ინდოელი ყიდულობს აქ მიწას. იგივე ირანელები, თურქები, ჩინელები, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არაობიექტური და არასახელმწიფოებრივია.

**— ზოგი ექსპერტი ფიქრობს, ეკონომიკა იხეირებსო, მაგრამ რამდენიმე წელიწადში მიწები აღარ გვექნება.**

– ეკონომიკამ შეიძლება, მოიგოს, ან წააგოს, მაგრამ ჩვენი შთამომავლობა, შვილები და შვილიშვილები დარჩებიან მუშებად თავისავე მიწაზე. აქამდე არ უნდა მივიდეთ ჩვენ, ესაა მთავარი. მე კატეგორიულად ვამბობ, რომ არ შეიძლება მიწების გაყიდვა, ეს ყოვლად დაუშვებელია. ევროკავშირში ვიქნებით თუ ევრაზიულ კავშირში, ნატოში თუ სად, მიწა სულ გვჭირდება და მისი გაყიდვა დანაშაული იქნება ჩვენი მომავალი თაობის წინაშე.

**— სასამართლოს მტკიცებით, მიწაზე დაწესებული მორატორიუმი დაუშვებელია, რადგან ის ზღუდავს კერძო პირის უფლებებსო. რაშია საქმე, მორატორიუმმა რა პრობლემები შექმნა?**

– საქმე ისაა, რომ ევროკავშირის ბევრ ქვეყანაშია დაშვებული მიწის გაყიდვა უცხოელებზე, მაგრამ იქ ძალიან მკაცრი რეგულაციები აქვთ და ეს იქ არ ითვლება არანაირი საკუთრების უფლების ხელყოფად. ეს არის გონიერი გადაწყვეტილება ხელისუფლების მხრიდან, ეს არის გადაწყვეტილება, რომლითაც ამ ქვეყნების ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ წინ იყურება. ის „ზოგიერთი“ პოლიტიკური პარტია რომ არის, საკონსტიტუციო სასამართლო მაგათი გავლენის ქვეშაა მოქცეული, მაგათიანებით არიან დაკომპლექტებული, თორემ ისე, ყველამ იცის, რომ მიწების გაყიდვა დანაშაულია. ამით უფლებას აძლევ, რომ შენი შთამომავლობა აქციო მხოლოდ მოსამსახურედ! არანაირ დარღვევას ადგილი არ აქვს ამ მორატორიუმით, რას ჰქვია, თუ ქართველს შეუძლია ამხელა ინვესტიციები ჩადოს სოფლის მეურნეობაში და ამ სფეროსკენ ბევრი სუბსიდიაა მიმართული, ვერ დავამუშავებთ მიწას? მომავალ წელს მეტს ჩავდებთ კიდევ და იმ მიწას ისევ ჩვენვე გამოვიყენებთ.

**— რატომ იჩქარა სასამართლომ ასე? ხომ შეეძლო, გაეჭიანურებინა, თუნდაც წლის ბოლომდე, სანამ მიწების აღწერა-ინვენტარიზაცია დასრულდებოდა?**

– გეთანხმებით, ამიტომ ვთქვი, რომ დიდი ნდობით არ ვარ განწყობილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ, ნამდვილად შეიძლებოდა ამ პროცესის გაწელვა, გაჭიანურება რამდენიმე თვე, რომ ჩვენ მიგვეღო ახალი რეგულაციები, რომელიც ამ პროცესს შეზღუდავდა. ძალიან სამწუხაროა, რომ ეს უმაღლესი სასამართლო ინსტანცია ასე არასახელმწიფოებრივად და არაპატრიოტულად მოქმედებს და მხოლოდ ვიღაცების ინტერესებზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას იღებს. ეს არ წაადგება საქართველოს.

**„კატეგორიულად ვამბობ, რომ არ შეიძლება მიწების გაყიდვა, ეს ყოვლად დაუშვებელია. ევროკავშირში ვიქნებით თუ ევრაზიულ კავშირში, ნატოში თუ სად, მიწა სულ გვჭირდება და მისი გაყიდვა დანაშაული იქნება ჩვენი მომავალი თაობის წინაშე“**

**— ახლა რას აპირებს პარლამენტი, ეშველება ამ საქმეს რამე, თუ უცხოელების შემოსევას უნდა ველოდოთ ისევ?**

– ჩვენ ახლა სასწრაფოდ რაღაც ახალ რეგულირებებს ჩამოვაყალიბებთ ისე, რომ ინდივიდუალური მიდგომა იყოს თითოეულ საკითხზე. ვთქვათ, ცოლი ჰყავს ქართველი იმ უცხოელს, მაშინ ერთ ქვაბში ვერ მოვხარშავთ. ან თუ 10 წელია ცხოვრობს საქართველოში, იქნება გამონაკლისი, მაგრამ ასეთი მასიური გაყიდვა არ უნდა მოხდეს. ივლისში ჩვენ გვექნება პარლამენტის სესიები და ამ პრობლემას დავუბრუნდებით. დღეს კი, რაც მთავარია, უნდა მოვითხოვოთ ის, რომ გარკვეულ რაიონებში გავაგზავნოთ ჩვენი ხალხი და ვთხოვოთ მოსახლეობას მათი მეშვეობით, არ გაყიდონ მიწები. ზოგს ნაკვეთი იპოთეკით აქვს დატვირთული და ამაზე თამაშობენ, რადგან გარკვეული ნაწილი მოსახლეობისა იძულებულია, ნაკვეთი გაყიდოს, რომ ბანკის ვალი დაფაროს. უნდა შეჩერდეს ეს პროცესი როგორმე, გარკვეული ცვლილებები უნდა მოხდეს რეესტრშიც, დაკანონებასთან დაკავშირებით.

შევიკრიბეთ ჩვენ უკვე, მალე კიდევ ვიკრიბებით ამ თემაზე სამუშაოდ. მიწების გაყიდვისას, გამონაკლისი იქნება მაშინაც, თუ ბებია ან ბაბუა ჰყავდა ქართველი, ან მიწას იღებს გარკვეული პირობით, მაგალითად, გარანტიად ჩადებს თითო ჰექტარში მილიონ

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბოკერია — 30 400 ლარი, იმერლიშვილი — 3 540 ლარი...






ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2013 წელს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში პრემიების გაცემასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამდებობის პირებზე 2013 წელს პრემიის სახით სულ გაცემულია 148 990 ლარი. უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს გიგა ბოკერიას 2013 წელს (იანვარი-ნოემბერი) მიღებული აქვს 30 400 ლარის ოდენობის პრემია, ხოლო ირინე იმერლიშვილმა დეკემბერში პრემიის სახით მიიღო 3 540 ლარი.

2013 წელს უშიშროების საბჭოს აპარატის თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე დახარჯულია 99 485.25 ლარი, აღნიშნული თანხიდან 59 456 ლარი შეადგენს გიგა ბოკერიას სამივლინებო ხარჯებს. (ნიუპოსტი)

## არჩევნების მეორე ტურში გაყალბების რისკები



უმცირესობის წევრი ლევან ბეჟაშვილი არჩევნების მეორე ტურში გაყალბების გაჩენის რისკებზე საუბრობს:

„ვფიქრობთ, რომ იმ ადამიანებს, ვინც პირველ ტურში სხვა ოლქებში მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში, არ უნდა მიეცეთ საშუალება უკვე მეორე ტურში გასამართ სხვა ოლქებში მონაწილეობის მიღებისა. ამით მაღალი რისკი ჩნდება არჩევების გაყალბების და შედეგებით მანიპულირების. ცესკომ ცვლილებები უნდა შეიტანოს, რომ ერთგვარად დახუროს გაყალბების ეს ხვრელი.

იმავდროულად, მოვუწოდებთ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, დააწესონ მონიტორინგი ჩვენთან ერთად იმ ოლქებში, სადაც მეორე ტური უნდა გაიმართოს და ერთად გავაკონტროლოთ ამომრჩევლის ხელახალი რეგისტრაციის პროცესი, რათა არ მიეცეთ საშუალება ცალკეულ პირებს, არჩევნების შედეგებით მანიპულირება მოახდინონ“, – განაცხადა ბეჟაშვილმა. (ნიუპოსტი)

## „ბიბილოვის იდეა რუსეთთან შეერთებაზე პოლიტიკური სპეკულაციაა“



რუსი პოლიტოლოგის ალექსეი მარტინოვის შეფასებით, რუსეთთან შეერთების შესახებ ანატოლი ბიბილოვის იდეა პოლიტიკური სპეკულაციაა. „სხვა არაფერია თუ არა „ერთიანი ოსეთის“ სპეკულაცია, რომლის საარჩევნო კამპანია ამ თემაზე იყო აგებული“.

„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის რუსეთის შემადგენლობაში დაუყოვნებლივი შესვლის აუცილებლობა არ არსებობს. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელმაც ისეთი პრეფერენციები მიიღო, როგორსაც რუსეთის სუბიექტად ყოფნის შემთხვევაში მიიღებდა. მისი სუვერენიტეტი დაცულია იქ მყოფი რუსული ჯარით, ბიუჯეტის 80% კი მოსკოვიდან ფინანსდება, ორ ქვეყანას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვს. ერთადერთი, რაც ერთმანეთისგან ყოფთ, საბაჟო კონტროლია. რით განსხვავდება ოსეთი რუსეთის სუბიექტისგან? ქვეყანაში აღმართულია რუსული დროშა, მოქალაქეების უმრავლესობას რუსული პასპორტი აქვს, საზღვარი გახსნილია“, – განაცხადა მარტინოვმა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

დოლარს, რომ ნახევრად იქნება ქართველების. მოკლედ, ბევრი ვარიანტი გვაქვს და შევჯერდებით. ამიტომ ცოტა გვაცალეთ, რომ ჩამოვყალიბდეთ, რა დავუპირისპიროთ ამ არაპატრიოტულ გადაწყვეტილებას.

**— ხომ არ გისაუბრიათ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანაზე? როგორც მითხრეს, დასავლეთის ზოგიერთ მცირემიწიან ქვეყანაში აკრძა-**




**„დიდი ნდობით არ ვარ განწყობილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ... ძალიან სამწუხაროა, რომ ეს უმაღლესი სასამართლო ინსტანცია ასე არასახელმწიფოებრივად და არაპატრიოტულად მოქმედებს და მხოლოდ ვიღაცების ინტერესებზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას იღებს. ეს არ წაადგება საქართველოს“**

**ლულია მიწების გაყიდვა. იქ თუ არ ითვლება ეს დემოკრატიისა და უფლებების შეზღუდვად, ჩვენთან ასეთი კანონი რისთვისაა აუცილებელი?**

– თუ ასე გაგრძელდა და არაეროვნული გადაწყვეტილებების მიღების შიში გაჩნდა, არაა გამორიცხული, ეს საკითხიც დავაყენოთ.

**— როგორც ვიცი, აპირებდით მიწების ინვენტარიზაციას. ახლა რა დონეზე ხართ, გამოავლინეთ გადამალული მიწები?**

– ეს ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა, ადრე მიწების ინვენტარიზაცია გაკეთდა, მაგრამ არც ერთი არ აღმოჩნდა სანდო. ბევრი მიწა იყო და პრობლემა გახდა, იმის დოკუმენტურად გარკვევა, რომელი იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების. აღმოჩნდა, რომ წინა ხელისუფლების დროს ბევრი ასეთი მიწა იყო დამალული, ამას სჭირდება სტრუქტურიზება, სისტემაში მოყვანა. სავარაუდოდ, ამას ერთი წელი დასჭირდება და როგორმე უნდა გავიტანოთ ეს პერიოდი, რომ ამ მიწების გაყიდვა არ დავიწყოთ, როგორმე დრო უნდა გავჭიმოთ ახალი რეგულაციების მიღებამდე.

**— ინფორმაცია ვნახე, რომ იუსტიციის სამინისტრო მიწის საკუთრების ევროპული მოდელის კანონის შექმნაზე მუშაობს. ამაზე რა იცით, თუ ხართ ჩართული?**

– ამ თემაზე აქტიურად ვმუშაობთ, კომისიაში ჩვენც ვართ. იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით ახალი ცვლილებები უნდა მივიღოთ სასწრაფოდ, ისეთი, რომელიც მისაღები იქნება, რომ მერე საკონსტიტუციო სასამართლომ მსგავსი რამ არ გააკეთოს კიდევ. ფაქტია, რომ რაღაცაშიც უნდა შევიზღუდოთ. ყველა შემთხვევაში, როგორმე პროცესის გაწელვას ვცდილობთ, რითაც დროს მოვიგებთ და მერე შეგვეძლება უფრო თამამი გადაწყვეტილებების მიღება, რომ არ გვქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოსგან დაბლოკვის შიში. ქალბატონი თეა წულუკიანი კარგად ფლობს ინფორმაციას ევროკავშირის ქვეყნებთან დაკავშირებით მიწის გასხვისებაზე რაც ხდება და ეს დაგვეხმარება ევროპული მოდელის შემუშავებაში.

**— თუ გაქვთ დადგენილი ზღვრული რაოდენობა, რისი ყიდვაც შესაძლებელია? მაგალითად, შვეიცარიაში 24 ჰექტარზე მეტს ვერ იყიდის უცხოელი, ევროპის სხვა ქვეყნებში ისე არ მოგყიდიან მიწას, თუ არ დაასაბუთე, რომ გამოცდილი ფერმერი ხარ და აგრონომიული გამოცდილება გაქვს. თანაც იმ ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ ფაქტორებს არ უნდა ავნო შენი საქმიანობით. მეზობელ თურქეთშიც კი, რომელსაც ამხელა ტერიტორია აქვს, უცხოელებზე 2,5 ჰა ნაკვეთზე მეტის მიყიდვა არ შეიძლება. საქართველო რატომ უნდა იყოს გამონაკლისი, ვერ გამიგია...**

– მეტიც, გერმანიაში და ჩეხეთში მიწას საერთოდ ვერ იყიდი, ეს გამორიცხულია. თუ ევროკავშირში შევდივართ, ასეთი რეგულაციები უნდა მივიღოთ ჩვენც, მკაცრი და ისეთი, ჩვენი ქვეყნისთვის რომ იქნება მისაღები.



**„პროცესის გაწელვას ვცდილობთ, რითაც დროს მოვიგებთ და მერე შეგვეძლება უფრო თამამი გადაწყვეტილებების მიღება, რომ არ გვქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოსგან დაბლოკვის შიში. ქალბატონი თეა წულუკიანი კარგად ფლობს ინფორმაციას, ევროკავშირის ქვეყნებთან დაკავშირებით მიწის გასხვისებაზე რაც ხდება და ეს დაგვეხმარება ევროპული მოდელის შემუშავებაში“**

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# ევროპაში მოღვაწე ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე:

# „ახლა მაგარ სკანდალს გეტყვით“

## რა ხდება ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე ბრიუსელში?

გავიგეთ, რომ მსოფლიო პოლიტიკის ეპიცენტრად აღიარებულ ბრიუსელში 27 ივნისს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას ფონად „შალახო“ არ ექნება. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი ფანჯიკიძე იუწყება, ხელმოწერის ცერემონია, პარაფირებისგან განსხვავებით, ნაკლებ პომპეზური იქნება და საერთოდაც, მუსიკალური გაფორმება არ იქნება, რადგანაც ფანჯიკიძე ქართველებმა „შალახოს“ გადავაყოლეთ. ამ მოვლენის პარალელურად, დისკუსიები მიმდინარეობს ევროსაბჭოშიც და დღეს ქართველებისთვის სტრასბურგი და ბრიუსელი ორი უმნიშვნელოვანესი ადგილია, სადაც ჩვენი ბედი მეტ-ნაკლებად გადაწყდება. სამწუხაროდ, ნატოს გენერალურმა მდივანმა ქართველებს შემოგვითვალა, რომ უელსის სამიტზე საქართველო მაპ-ს არ მიიღებს.

უკვე მერამდენე წელია, გვესმის, რომ საქართველო მზად არის ნატო-ში გასაწევრიანებლად, რომ საქართველო მაპ-ზე უკეთესს მიიღებს. ამ „ბრძნული“ განცხადების ავტორი გიორგი ბარამიძე იყო. დღევანდელი ხელისუფლება კი, იმ ცრუ მოლოდინის გაგრძელებაა, „ოცნებაში“ ქართველებს რომ სჯერათ ნატოში გაწევრიანების.

**საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე „ალიასთან“ სტრასბურგისა და ბრიუსელის ამბებს განიხილავს და ექსკლუზიურ დეტალებს გვიმხელს:**

– საქართველოსთვის ძირითადი მოვლენები ახლა ბრიუსელში ხდება, თუმცა არც სტრასბურგშია ნაკლები. ადამიანის უფლებათა ევროკომისარიატში სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ჰყავთ გამოძახებული და ის საკითხები უნდა განიხილონ, რაც ქართულ ციხეებში ხდება. მაგალითად, რა საკითხებიც ლალი მოროშკინამ წამოწია. სხვათა შორის, ლალი მორშოკინას თვითონ დაუძახა ევროსაბჭომ. მის მიერ წარმოებული საკითხები ინტერნეტშიც ძალიან ადვილად იძებნება. ევროსაბჭოში შტერები კი არ სხედან, მათ ნახეს, რას წერდა ინტერნეტში მოროშკინა და დაიბარეს. მე მას თან ვახლდი, როგორც ტელეკომპანია „ობიექტივის“ წარმომადგენელი. ლალიმ ისაუბრა იმ დარღვევებზე, რაც ქართულ ციხეებშია. აზარტული თამაშების დაწყება, პატიმრის გარდაცვალება, ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანა. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე მეტი შეკითხვა ლალის ვანო მერაბიშვილზე დაუსვეს. სოზარ სუბარმა რაც არ უნდა მალოს, სტრასბურგში ძალიან კარგად იციან, როგორ გაიყვანა დარბაისელმა ვანო მერაბიშვილი საკნიდან. ევროსაბჭომ შეიძლება მთავრობას მკაცრი მოთხოვნები არ დაუყენოს, მაგრამ ამ საკითხის გამოძიებისკენ მოუწოდებს.

ძალიან მინდოდა წავსულიყავი სტრასბურგში და მენახა უჩა ნანუაშვილი და შევხვედროდი ევროკომისარიატში წარმომადგენლებს, მაგრამ ამ წუთას ახლა უფრო მნიშვნელოვანია ბრიუსელი და აქ დარჩენა ვარჩიე. ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ხდება, ერთი ნატოს მინისტერიალი უელსის სამიტის წინ, მეორე საკითხი გახლავთ 27 ივნისს საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა. იცით, რა მაოცებს ხალხო? ბრიუსელში ჩვენ გვყავს ელჩი, რომელმაც თავისი შრომის წიგნაკი ამ თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან გახსნა. ნატალია საბანაძე „გუგლში“ არც იძებნება. ბრიუსელი კი ისეთი ადგილია, სადაც ქვეყანას უნდა ჰყავდეს ძალიან გამოცდილი დიპლომატები. ასევე ნატო-ში საქართველოს ელჩი უნდა იყოს გამოცდილი. მგალობლიშვილი, ასე თუ ისე, ჩანდა, იმის განცხადებებს ვისმენდით. დღეს ნატოში საქართველოს ელჩი არის ვიკა დოლიძის ძმა, რომლის აქტივობაც ძალიან დაბალია, რომელიც ფაქტობრივად, არ აქტიურობს.

**— რაღა შორს მივდივართ, სამ თვეში უელსის სამიტი იმართება და დიდ ბრიტანეთში დღემდე ელჩი წარდგენილი არ არის. ვინ უნდა მოამზადოს? ფაქტობრივად, გამოდის, რომ „ნაციონალების“ დარჩენილმა კადრებმა უნდა მოამზადოს უელსის სამიტი...**

– და ყოველივე ამის შემდეგ საგარეო საქმეთა უწყება გამოდის და ამბობენ, რომ თურმე ჩვენ რაღაცებს ველოდებით უელსის სამიტიდან. რას უნდა ელოდე შე მამაცხონებულო, საელჩოებში სიტუაციები ვერ დაგილაგებია, ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ კადრებით არის გაძეძგილი იქაურობა, შენ გაარკვევ უელსის სამიტის დეტალებს?!. როცა რასმუსენი გამოვიდა და თქვა, რომ ჩვენ საქართველოსთვის სხვა პაკეტს მოვამზადებთ, რომელსაც მივცემთ საქართველოს ხელისუფლებას უელსის სამიტზე, ეს ქართულმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა და ქართულმა მედიამ შეაფასა, თითქოს ჩვენ მაპ-ზე უკეთესს მოგვანიჭებენ. ავდექი, მე გამოვედი და ვთქვი, – ხალხო, ეს არის სახეში სილის გაწვნა ქართველებისთვის, უკან დაბრუნება, ჩვენ ერთხელ კიდევ გაგვაცურეს, ამის გამო სოციალურ ქსელში ჯვარზე გამაკრეს და სულ პრორუსული ძალა მეძახეს. მივმართავ მათ, გადაშალეთ „როიტერი“ და ნახეთ, რას წერენ. სიტყვასიტყვით იმეორებს იმას, რაც მე ვთქვი. ნატომ ხელი ჰკრა საქართველოს, მონტენეგრო, ანუ ჩერნოგორია კი ევროპის მოლოდინშია.

**— „როიტერი“ წერს, რომ 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ, უაღრესად საკამათო საკითხია ალიანსში, მიანიჭებს თუ არა ნატო მაპ-ს საქართველოს. სწორედ ამ სამიტიდან რამდენიმე თვეში მოხდა საქართველო-რუსეთის ხუთდღიანი ომი, მოგვიანებით კი რუსეთმა საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობა ცნო. ამ ყველაფრის გამო ნატოს ბევრი წევრი ქვეყანა საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას არ მიესალმება. ჩვენ კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ნატო გაურბის ვალდებულებას, რუსეთიდან საომარი მოქმედების შემთხვევაში ჩაერთოს ჩვენს დასაცავად...**

– ვიდრე ამ საკითხზე გიპასუხებდეთ, მინდა ჯეიმს აპატურაის ინტერვიუზე შევჩერდე. ყველაზე მთავარი მესიჯი, რაც ჯეიმს აპ-

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### განმეორებითი არჩევნები 14 საარჩევნო უბანზე 29 ივნისს გაიმართება




ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იმ საარჩევნო უბნების ჩამონათვალი გამოაქვეყნა, სადაც განმეორებითი კენჭისყრაა დაგეგმილი. 29 ივნისს თვითმმართველობის არჩევნების განმეორებითი კენჭისყრა 14 საარჩევნო უბანზე გაიმართება:

№22 მარნეულის საარჩევნო ოლქის №25 და №57 საარჩევნო უბნები; №26 თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქის №5 საარჩევნო უბანი; №28 დუშეთის საარჩევნო ოლქის №4, №6, №47 და №52 საარჩევნო უბნები; №40 ახალქალაქის საარჩევნო ოლქის №1 საარჩევნო უბანი; №55 ხონის საარჩევნო ოლქის №22 საარჩევნო უბანი; №57 ტყიბულის საარჩევნო ოლქის №2 და №5 საარჩევნო უბნები; №67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის №32 საარჩევნო უბანი; №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №103 საარჩევნო უბანი; №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის №34 საარჩევნო უბანი. (რეპორტიორი)

### „112“-მა ევაკუატორებით დახმარების სერვისი დანერგა




„112“-ის ცნობით, ამიერიდან, თბილისში მყოფ ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება აქვს, „112“-ზე დარეკვით, ევაკუატორებით დახმარების სერვისით ისარგებლოს. ახალი სერვისი თანამედროვე სტანდარტებს პასუხობს.

„112“-ს გააჩნია თანამედროვე ტექნიკა და აღჭურვილობა, რაც იძლევა ეფექტური კომუნიკაციისა და სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას. უსაფრთხოების ზომების მაქსიმალურად დაცვის მიზნით, გამოყოფილია სპეციალურად გადახურული სადგომი და ბეტონის ახალი საფარიანი დაცული ტერიტორია, რათა არ მოხდეს სატრანსპორტო საშუალების დაზიანება სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენებისგან. ასევე, ტერიტორიაზე არსებული 24-საათიანი სათვალთვალო კამერები, დამცავი ღობე და სხვა ინფრასტრუქტურა გამორიცხავს ავტოსადგომზე მესამე პირთა არასანქცირებულ შეღწევას. ავტოსადგომები განლაგებულია დიღომში ბალანჩინის ქუჩაზე და ვარკეთილში გახოკიძის ქუჩაზე“, – აცხადებენ „112“-ში.

მათივე ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და მთავრობის დადგენილებით, განისაზღვრა საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომის ერთიანი, შეღავათიანი საფასური, რაც ბაზარზე არსებულ ტარიფზე 50%-ით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ ტრანსპორტირების მანძილის ათვლის საფასური იწყება ევაკუატორის ინციდენტის ადგილზე გამოცხადებიდან, დანიშნულების ბოლო წერტილამდე.

ევაკუატორებით დახმარების სერვისის დანერგვა, ასევე, მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციული დარღვევებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების დროს, დროებით ჩამორთმეული, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საჯარიმო სადგომზე დროული და უსაფრთხო გადაყვანისთვის. (ინტერპრესნიუსი)

### მიმინოშვილისთვის აბიტურიენტთა აქციის მიზეზი გაუგებარია



აბიტურიენტთა ერთი ჯგუფის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციის მიზეზი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, მაია მიმინოშვილისთვის გაუგებარია.

„საუბარია ცვლილებებზე. ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა. ტესტის დავალების ტიპი არის იმის ანალოგიური, რაც იყო 2013 წელს. არც შეფასების კრიტერიუმი შეცვლილა. უფრო მეტსაც გეტყვით, არ გვქონდა ვალდებულება, ინსტრუქცია წინასწარ გამოგვეცხადებინა და ინსტრუქციაშიც კი არ შესულა ცვლილებები. უბრალოდ, მასში მითითებული არ არის შეცდომების რაოდენობა“, – განმარტა მიმინოშვილმა.

აბიტურიენტებმა აქცია სოციალური ქსელით დაგეგმეს. მათ აქცია, სახელწოდებით „ჩამოყალიბდით“, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინ გამართეს.

აბიტურიენტთა საინიციატივო ჯგუფის ცნობით, „23 ივნისს, 17:40 საათზე, გამოცდების ეროვნული ცენტრის ფეისბუკის გვერდზე დაიდო პოსტი ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აბიტურიენტები მიიჩნევენ, რომ მათი უფლებები ირღვევა და მსგავსი ცვლილების შესახებ გამოცდებამდე სამი დღით ადრე არ უნდა იგებდნენ“. (ინტერპრესნიუსი)

### საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის 13 წელი შეეფარდა



საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობაში ბრალდებულ მანუჩარ შონიას სოხუმის რეჟიმმა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. გალის მკვიდრი მანუჩარ შონია აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა 2012 წლის 30 სექტემბერს დააკავეს. მსჯავრდადებული სასჯელს მკაცრი რეჟიმის გამოსასწორებელ კოლონიაში მოიხდის. (ინტერპრესნიუსი)

*მეცხრე გვერდიდან*

ატურაიმ თქვა, – თქვენი მინისტრები აქ რომ ჩამოდიან, არასოდეს იმას არ გვეუბნებიან, საქართველო ამ ეტაპზე მზად არის ნატო-ში გასაწევრიანებლადო. ანუ აპატურაიმ გვითხრა, რომ მთავრობა ჩვენ ცრუ დაპირებებს გვაძლევს. გამოდის, რომ ჩვენი პოლიტიკოსები და მინისტრები ერთს გვეუბნებიან, ჩადიან ბრიუსელში და სხვას ლაპარაკობენ. რით განსხვავდებიან ესენი მიშასგან, ისიც 9 წელი გვეუბნებოდა, – ვუახლოვდებით ნატო-სო, იგივე გვესმის



**„ეს არ იქნება ის, რაც ჩვენ გვინდა და რასაც ჩვენ მოველით ნატოსგან. თუ ხალხს ხელისუფლებამ მინიმალური პირობები არ შეუქმნა, ეს ხალხი თუ არ დაასაქმა და არ ამოასუნთქა, ნატო-ში კი არა, „მაკდონალდსშიც“ არ მიგვიღებენ“**

დღესაც. ნატო ყოველთვის ითხოვს რამდენიმე კრიტერიუმს, პირველ რიგში სახელმწიფოში უნდა იყოს სტაბილური სიტუაცია და დემოკრატიული წეს-წყობილება. სახელმწიფოში ხალხი უნდა იყოს დასაქმებული, დაპურებული, მშიერი ხალხით და გაყალბებული არჩევნებით ნატოში არავინ მიგიღებს და არც ევროკავშირში. ნატო არ არის მხოლოდ სამხედრო ალიანსი, ნატო არის მაღალი გარანტია იმისა, რომ შენს ქვეყანაში იქნება დემოკრატია. ეს არის ჩვენი უბედურება, რაც ბოლო 25 წელია ვერც ერთმა ხელისუფალმა ვერ გაიგო.

**— თქვენი აზრით, რა არის ის განსაკუთრებული პაკეტი, რომელსაც უელსის სამიტზე მაპ-ის ნაცვლად მოგვანიჭებენ. რას ამბობენ ამ საკითხზე ნატო-ს კულუარებში.**

– ეს იქნება გაურკვეველი შინაარსის პაკეტი, ნატო-ს ინდივიდუალური თანამშრომლობის, რომელიც რეალურად არ იქნება ის, რაც ჩვენ გვინდა და რასაც ჩვენ მოველით ნატოს-გან. თუ ხალხს ხელისუფლებამ მინიმალური პირობები არ შეუქმნა, ეს ხალხი თუ არ დაასაქმა და არ ამოასუნთქა, ნატო-ში კი არა, „მაკდონალდსშიც“ არ მიგვიღებენ. 6 თვეში ერთხელ ქართველი პოლიტიკოსები ჩამოდიან, აქ ადგილზე არავინ რჩება, ვინც ევროპელ პოლიტიკოსებს ყოველდღიურად მიმდინარე ქართულ პოლიტიკაზე ელაპარაკება. აქ არავინ არ არის, ვინც საქართველოში წარმოებულ პოლიტიკას ევროსტრუქტურებში ლობირებას გაუწევს. ნატალია საბანაძე ევროკავშირში საქართველოს ელჩი, სახლიდან რომ გამოუშვა, ევროკომისიის შენობასაც ვერ მიაგნებს. ეკა ბესელია რომ მოუყვება ევროსაბჭოში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ისინი თავს დაუქნევენ და ამით დასრულდება ამბავი. ამის პარალელურად „ნაციონალები“ ყოველდღიურად მუშაობენ და როგორც ადრე გითხარით, ფაილს ფაილზე აგზავნიან, რაპორტებს წერენ და წამებულის მანტია აქვთ მოსხმული.

ახლა მაგარ სკანდალს გეტყვით. 27 ივნისს ხელი უნდა მოეწეროს ასოცირების ხელშეკრულებას. წესით, ჟოზე მანუელ ბაროზო, კეტრინ ეშტონი, ვან რომპეი და სხვა დანარჩენი ევროჩინოვნიკები ქართველ ჟურნალისტებს კომენტარებს უნდა აძლევდნენ. შენ რომელიმე ტელევიზიით გინახავს ევროჩინოვნიკების ინტერვიუ?.. იცი, რატომ ვერ ნახავდი? არავინ კომენტარს არ აკეთებს. 4 დღის წინ პირადად ვესაუბრე ჟოზელ მანუელ ბაროზოს პრესმდივანს, ძალიან მინდოდა, მომესმინა, რა კომენტარს გააკეთებდა ბაროზო საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ. მისგან უარი მივიღე, რადგან ბეგრაუნდი მომზადებული არ არის, არ აქვს



**„ყველაზე მთავარი მესიჯი, რაც ჯეიმს აპატურაიმ თქვა, — თქვენი მინისტრები აქ რომ ჩამოდიან არასოდეს იმას არ გვეუბნებიან, საქართველო ამ ეტაპზე მზად არის ნატო-ში გასაწევრიანებლადო. ანუ აპატურაიმ გვითხრა, რომ მთავრობა ჩვენ ცრუ დაპირებებს გვაძლევს“**

სალაპარაკო. მაია ფანჯიკიძე და ბესელია რომ ჩამოვიდნენ სტრასბურგში, ამით ამინდს ვერ შექმნიან. რაც ხდება სასიკეთოდ, ესეც ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა. 6 თვის წინ საქართველოს პრემიერი ჩამოვიდა, შეხვდა ევროსტრუქტურებს, მაგრამ მას შემდეგ აღარავის არაფერი გაუკეთებია. ახლა არ მითხრან, შენ რა იცი, ჩვენ მანდ რას ვაკეთებთო. თქვენ რასაც აკეთებთ, ბატონებო, მე ხუთი თითივით ვიცი, იმ ევროსტრუქტურებში ყოველდღე შევდივარ და თქვენ კი არაფერს აკეთებთ. აი, ეს არის უბედურება. აქეთ ჩაგაბარებთ „ატჩოტებს“, რას აკეთებთ თქვენ აქ. წესით, სამთავრობო ლობისტები 24 საათის განმავლობაში უნდა მუშაობდნენ, რათა შექმნან საქართველოს სამეგობრო, ჩვენი პოზიციები გაამყარონ ევროპაში. უკვე უნდა იყოს დისკუსია, რა შედეგებს მოგვიტანს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება, მუშაობა უნდა იყოს დაწყებული. გლობალური მუშაობა არ ჩატარებულა, მოვიდა ხელმოწერის დრო და ხელს ვაწერთ. ამ დროს ადამიანთა დიდმა ნაწილმა არ იცის, რა პლუსები აქვს ამ ხელშეკრულებას და რა მინუსები. ისე ვაწერთ ხელს, რომ საზოგადოებაში ამ თემაზე დისკუსიაც კი არ დაწყებულა.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

# მერაბ შათირიშვილი: „ნაცმოძრაობა“ უნდა აიკრძალოს, როგორც პოლიტიკური პარტია“

## რა რეაქცია ჰქონდა „ქართულ ოცნებას“ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის წასვლაზე?





**უკვე ერთი კვირა გავიდა, რაც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, მერაბ შათირიშვილმა პარტია დატოვა. „ალია“ დაინტერესდა, რა ხდება, როგორ „გამოიგლოვა“ კოალიციამ კიდევ ერთი კაცის დაკარგვა.**

**ამაზე „ალიას“ თავად მერაბ შათირიშვილი ესაუბრება:**

**— მერაბ, რა სიტუაციაა, როგორი რეაქცია ჰქონდათ შენს თანამებრძოლებს, ხომ არავინ შეგხმიანებია?**

– როდესაც ადამიანები ხვდებიან მაღალ ეშელონებში, მერე ნაკლებ ყურადღებას გვაქცევენ ჩვეულებრივ მოკვდავს. რომ გითხრა, ჩემი წამოსვლის გამო აჟიოტაჟი ატყდა „ქართულ ოცნებაში“ და აყვირდნენ: არიქა, რა საგანგაშო სიტუაციაა, ვაი, ვინ დავკარგეთო, ნამდვილად მოგატყუებ. ეგენი რომ რიგითი ჯარისკაცების დაკარგვაზე დარდობდნენ, კარგი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. მაგათი უბედურება სწორედ ეგ არის, რომ ასეთი რაღაცები არ აღელვებთ. მე წინა ინტერვიუშიც გითხარი, დამირეკა რამდენიმე დეპუტატმა და ხალხის მხრიდან არის უამრავი გამოხმაურება. მირეკავენ, მხვდებიან კიდეც და ახალ მოძრაობაშიც ერთიანდებიან. ხალხი უკმაყოფილოა, ჩვენ „ნაცმოძრაობის“ გამარჯვებას მაინც არ დავუშვებთ. დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს და უნდა გაიმარჯვოს, სხვა გზა არა გვაქვს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ვინ „ნაციონალია“ და ვინ „ოცნებისტი“, ამას ველარ ვარკვევთ. ჩამთავრდება მეორე ტური და იმას, რასაც ვერ აკეთებს „ოცნება“, გავაკეთებთ ჩვენ, სააკაშვილის ბანდას ესენი ვერ მოიშორებენ, ჩვენ მოვიშორებთ და პასუხსაც ვაგებინებთ ქართველი ხალხის წინაშე. ახლა მინდა, გავაკეთო ერთი სერიოზული განცხადება: დღეს არავინ არ ფიქრობს იმაზე, რა ხდება რეგიონებში, რა ხდება გამგეობებში – მე მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ სადაც გამგებლებმა უკვე გაიმარჯვეს, მიდის ტენდერებზე ერთი ამბავი და გაწევ-გამოწევა, გადარიცხვები, გადმორიცხვები და ფულის კეთების პროცესი. თუ სადმე გასაყოფია, იყოფენ, თუ წასაღებია, მიაქვთ და ასე შემდეგ.

**— იქნებ საქმის გაკეთებას ჩქარობენ?**

– არა, საქმე არ კეთდება ასე ქაოსით და გაუგებრობით. რაც შეეხება ჩვენს შტაბს, ჩვენ 29 ივნისს გვაქვს დაგეგმილი შეხვედრა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ მეორე ტურის ჩამთავრებას დაველოდებით და შემდეგ უკვე მთელი ძალებით დავიწყებთ ბრძოლას იმისთვის, რომ ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და „ნაცმოძრაობა“ აიკრძალოს, როგორც პოლიტიკური პარტია. საქართველოში უნდა დაიწყოს სუფთა ქართული მოძრაობა, სხვა გზა არ გვაქვს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მაგნატი 2006“-ის სარჩელი სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო





თბილისის საქალაქო სასამართლომ შპს „მაგნატი 2006“-ის სარჩელი აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ განსახილველად წარმოებაში არ მიიღო. როგორც მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილმა განმარტა, საქმის განხილვა იქიდან გამომდინარე ვერ მოხდება, რომ შპს „მაგნატი 2006“ სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლილია და ის მხარედ ვერ ჩაითვლება.

„მაგნატის“ ადვოკატის ზურაბ თოდუას განცხადებით:

„ჩვენი სარჩელი იყო მიმართული აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ. ყოფილი ხელისუფლების პერიოდში, აღსრულების ბიურომ არ მოიძია დაახლოებით 8 მილიონი ლარის ქონება და ისე დაამთავრეს „მაგნატის“ გაკოტრება. სახელისუფლებო დაკვეთამ, როგორც ჩანს, მოაღწია მოსამართლის კაბინეტამდე და პირდაპირ უთხრეს, რომ ეს საქმე დაემთავრებინათ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა მოსამართლის წერილი საჯარო რეესტრისადმი, რის შედეგადაც ამოშალეს მეწარმეთა რეესტრიდან. ეს 8 მილიონი, პირველ რიგში, კრედიტორების დაკმაყოფილებისთვის განისაზღვრებოდა და ის უნდა დააბრუნონ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, „თიბისი ბანკმა“ და „გალფმა“, რომლებმაც საბოლოო ჯამში, მიისაკუთრეს „მაგნატი“, – აღნიშნა ადვოკატმა. (ინტერპრესნიუსი)

## 56 950 ლარი დანამატის სახით



თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ინფორმაციით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველ მოადგილეს დიმიტრი ქუმსიშვილს 2013 წელს 56 950 ლარი პრემიის ან/და სახელფასო დანამატის სახით აქვს მიღებული. ორგანიზაციის ცნობით, 2013 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თითოეული დეპარტამენტის უფროსის სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი შეადგენს დაახლოებით 59 000 ლარს. დეპარტამენტის უფროსის წლიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 25 200 ლარს (თვეში 2 100 ლარი), ხოლო დანარჩენი – დაახლოებით 34 000 ლარი მიღებულია პრემიისა ან/და სახელფასო დანამატის სახით. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ასოცირების ხელშეკრულება — რას მოვიგებთ და რას წავაგებთ?



ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მოახლოებასთან ერთად, ევროპელი პოლიტიკოსები და ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები თითქოს ერთ ხმაში მღერიან. ყველა მათგანი მხოლოდ იმ სიკეთეებზე საუბრობს, რასაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით საქართველო და მისი მოსახლეობა მიიღებს: უვიზო რეჟიმი, ქართული პროდუქციის ევროპულ ბაზარზე გატანა, ინვესტიციები და ა.შ. რას მიიღებს სინამდვილეში საქართველო და მისი თითოეული მოქალაქე ასოცირებიდან? რას მოვიგებთ და რას წავაგებთ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებით?

„ალიას“ ესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი ემზარ ჯგერენაია:

**— ბატონო ემზარ, ევროპელებიც და ჩვენი ხელისუფლებაც ცდილობს, 27 ივნისის შემდეგ ვარდისფერი სათვალით შევხედოთ ცხოვრებას. რას მოუტანს ეს ხელშეკრულება საქართველოს, რას მოვიგებთ, რას წავაგებთ და რა პერსპექტივებზეა გათვლა?**

– თავისუფლების დეკლარაციის შემდეგ 20 წელია, ვცდილობთ, რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულებისგან გავთავისუფლდეთ და ევროპისკენ გადავიხაროთ, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო მყარი ბაზარია. ევროპისგან ჩვენ გვქონდა შეღავათიანი პირობები, მაგრამ გვქონდა ტექნიკური ბარიერები. ამ ტექნიკური ბარიერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული იყო სატარიფო ბარიერები. ახლა გადავედით მესამე ეტაპზე, როცა ევროპა ფიქრობს, რომ გარკვეული ხელშეკრულება უნდა გააფორმოს საქართველოსთან, მაგრამ ისმის კითხვა, თუ ჩვენ კარგად ვერ გამოვიყენეთ აქამდე არსებული პირობები, ახლა თავისუფალი ვაჭრობის პირობებს როგორ გამოვიყენებთ?

**— ეს მხოლოდ ჩვენზე ხომ არ იქნება დამოკიდებული, მათ არ უნდა შემოგვთავაზონ და გაგვიწერონ სამოქმედო გეგმა?**

– მათ უკვე შემოგვთავაზეს პრივილეგიები, როცა რამდენიმე ასეული დასახელების საქონელზე გადასახადი მოხსნეს. ახლა 27 ივნისს ამ ტექნიკურ ბარიერებს, რომელზეც ზემოთ გესაუბრეთ, თითქმის ხსნიან, არ გვექნება არც საგადასახადო ბარიერი. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად გამოვიყენებთ ამ დადებით მომენტებს.

**— რატომ გაქვთ შიში, რომ პრივილეგიას ვერ გამოვიყენებთ?**

– ამ სიტუაციაში გეტყვით, რა არის უარყოფითი. წლების განმავლობაში ჩვენ უნდა გავატაროთ რეფორმები, რომელიც სტანდარტებზე, ტექნიკური წარმოების წესებზე, სანიტარიულ კონტროლზე იქნება ორიენტირებული. ეს სანიტარიული კონტროლი უნდა დავუახლოოთ ევროპულს და იყოს ჰარმონიზებული მათთან. ეს არის სერიოზული რეფორმა, რომელიც გარკვეულ თანხებს მოითხოვს.

**— საიდან უნდა მოვიტანოთ ეს თანხა, როცა ეკონომიკაში პრობლემებია, ბიუჯეტი გარღვეული?**

– აუცილებლად ევროპიდან უნდა წამოვიდეს ეს თანხები. ასეთი თანხით დღემდე ფინანსდება პოლონეთის გზების მშენებლობა. ყოველ რეფორმას სჭირდება ფული და ეს ფული საიდან უნდა მოვიდეს, ეს არის ჩამოსაყალიბებელი. მომავალი ორი წელი ჩვენ სერიოზული რეფორმების წელი გვექნება.

**— ჩვენთან ბევრი მოქალაქე რატომღაც, ფიქრობს, რომ მათი სოციალური სფეროც გამოსწორდება. რამდენად რეალურია მათი მოლოდინი?**

– ერთი, რაც ყველაზე კარგი იქნება, ესაა უვიზო რეჟიმი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ადამიანს შეეძლება გადააადგილდეს ევროკავშირის ქვეყნებში, ჯერჯერობით იქ მუშაობის საშუალება მათ დიდხანს არ ექნებათ, მაგრამ ამ საკითხის მოგვარებაც შეიძლება, რომ იპოვონ სამუშაო ადგილები. ევროპაში სამუშაოს პოვნა ნიშნავს იმას, რომ ბევრი ქართველი მოქალაქე, რომელიც დღეს უმუშევარია, გარკვეულწილად დასაქმდება.

მეორე ნაწილია ამ საკითხის ის, რომ, როცა ხელმოწერილი გვექნება ასოცირების ხელშეკრულება, თავიდან ეს დასაქმება არ მოხდება მასიურად, ძალიან ბევრი კომპანია, იგივე აღმოსავლეთ ევროპიდან, შეეცდება, გადმოიტანოს ბიზნესი საქართველოში, თუმცა ეს არ იქნება ტოტალური. მაგალითად, იტალ-

*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*



„ინვესტიციის შემოდინებას პრობლემები ნამდვილად აქვს. მაგალითად, სასამართლო სისტემის გამო. ამ სფეროში ბევრი რამეა შესაცვლელი, რადგან ის სისტემატურად, ტოტალურად ახორციელებს ბიზნესების დაყადაღებას“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შესაბამის უწყებებს პარტიების შემომწირველებით დაინტერესებას ურჩევენ



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შესაბამის უწყებებს ურჩევს, დაინტერესდნენ პოლიტიკურ პარტიებს, მათ დონორებსა და სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულ კომპანიებს შორის კავშირებით.

ორგანიზაციის ცნობით, 2013 წლის 1-ლი იანვრიდან 2014 წლის 30 მაისის დათვლით პერიოდში პოლიტიკური პარტიების 387 დონორი 875 კომპანიასთან წარსულში ან ამჟამად იყო დაკავშირებული.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორის, ეკა გიგაურის თქმით:

„ნარჩუნდება ტენდენცია, როდესაც ბიზნესთან დაკავშირებული პირები შემოწირულობებს უფრო მეტად მმართველი პარტიების სასარგებლოდ ახორციელებენ, მაგრამ წინა წლებთან შედარებით, რიცხვები აბსოლუტურად განსხვავებულია... დღესდღეობით, მართალია, იურიდიული პირები და მათთან კავშირში მყოფი კომპანიები ოპოზიციური პარტიების სასარგებლოდ შემოწირულობებს ახორციელებენ, თუმცა რაოდენობრივად მმართველი კოალიციის სასარგებლოდ ამგვარი შემოწირულობები მეტია“.

ორგანიზაციის მონაცემებით, „ქართული ოცნების“ დონორებთან პირდაპირ კავშირში მყოფმა კომპანიებმა კონკურენტული და გამარტივებული შესყიდვების სახით 10 მილიონ 342 239 ლარი მიიღეს, საიდანაც 5 მილიონ 6 171 ლარი გამარტივებული ტიპის შესყიდვას წარმოადგენდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში კონკურენტული და გამარტივებული შესყიდვის კონტრაქტების საერთო ღირებულება 1 მილიონ 390 679 ლარს შეადგენს, საიდანაც 140 102 ლარი გამარტივებული შესყიდვებით მიღებული შემოსავალია. ხოლო „დემოკრატიული მოძრაობის“ შემომწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა 166 538 ლარი მიიღეს, აქედან 67 538 ლარი გამარტივებული კონტრაქტების წილია.

კვლევის მიხედვით, პოლიტიკური პარტიების დონორებთან პირდაპირ და არაპირდაპირ კავშირში მყოფმა 123 კომპანიამ, საერთო ჯამში, 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 20 ივნისის ჩათვლით კონკურენტული ტენდერების მეშვეობით 32 მილიონ 471 341 ლარი მიიღო, ხოლო 2013 წლის იანვრიდან მიმდინარე წლის თებერვლის ჩათვლით – გამარტივებული პირდაპირი შესყიდვებით 11 მილიონ 41 007 ლარის შემოსავალი.

აღნიშნული კონტრაქტებისგან პოლიტიკური სუბიექტების დონორებთან კავშირში მყოფი კომპანიების მიღებული შემოსავლებიდან გადაირიცხა თუ არა თანხები და კონკრეტულად რა მოცულობის იყო შემოწირულობები პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ, დაინტერესების შემთხვევაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური შეისწავლის. (ნიუპოსტი)

## „გარკვეული წლები დაგვჭირდება, რომ სრულად გავხდეთ ნატო-ს წევრი“



თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, საქართველო ნატო-ში სრული ინტეგრაციისთვის მზად არ არის:

„ჩვენ კიდევ დაგვჭირდება გარკვეული წლები, რომ გავხდეთ მზად პოლიტიკური სისტემით, უსაფრთხოების ზომებით და თავდაცვისუნარიანობით სრულად ნატო-ს წევრი. ჩვენ ვსაუბრობთ შემდეგ ნაბიჯზე ინტეგრაციის, თუმცა ვთვლი და ვაშინგტონშიც გავაკეთე განცხადება, რომ ის, რაც უკრაინაში ხდება, რუსეთის აგრესია და რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტი, უნდა გვკარნახობდეს, რომ საქართველოსთან ძალიან მალე დაიწყოს გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები. ეს არის ჩვენი სურვილი“, – განაცხადა ალასანიამ. (ნიუპოსტი)

## წამლების რეცეპტით გაცემა 1-ლი სექტემბრიდან დაიწყება



1-ლი სექტემბრიდან, ძალაში შედის ცვლილება „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ კანონში“ ფარმაცევტული დაწესებულებებიდან მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეცეპტით გაცემასთან დაკავშირებით.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ცვლილების მოტივს წარმოადგენდა სამკურნალო საშუალებების არარაციონალური გამოყენება (თვითმკურნალობა, ფარმაცევტული პროდუქტის არარაციონალური დანიშნულება) და ე.წ. სააფთიაქო ნარკომანია (I ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქტის არამიზნობრივი მოხმარება ნარკოტიკული თრობის მისაღწევად).

„რეცეპტის ინსტიტუტის დამკვიდრებასთან დაკავშირებით, სამინისტროს მიერ ხორციელდება პილოტური პროგრამა, რომელშიც ჩართულია 120 სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულება, როგორც თბილისში, ასევე, სხვა ქალაქებსა და რეგიონებში“. (ნიუპოსტი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*



„უვიზო რეჟიმი, რომელიც შევა ძალაში, გულისხმობს სამთვიან გადაადგილებას ევროკავშირის ქვეყნებში და არ გულისხმობს მუშაობის უფლებას, ქვეყნებმა უნდა გაცვალონ ერთმანეთში კანონმდებლობის ნაწილში კვოტები და საქართველომ უნდა მიიღოს გარკვეული კვოტა, რომ მისმა მოქალაქეებმა იმუშაონ“



„უნდა ჩამოვეხსნათ რუსეთს, მერე გვაღიარებს, როგორც ძალას და ვიქნებით თანასწორი. ეს არის მიზანი, როცა საგარეო ბრუნვის ვექტორი იქნება ევროპა, მე მექნება გარანტია და ზუსტი ინფორმაცია, რა მექნება 5 და 10 წლის შემდეგ და არა ის, რა დროს რა მოუნდება რუსეთს, იმის შიშით ვიცხოვროთ“

იელები არ ცდილობენ ბიზნესის სხვა ქვეყანაში გატანას, რადგან მათ ეშინიათ, არ გაფუჭდეს წარმოების ხარისხი. ვიმეორებ, ამ ბიზნესების გადმოტანას ტოტალური ხასიათი არ ექნება, მაგრამ გარკვეული ინვესტიციების შემოდინებას გზა გაეხსნება და ისარგებლებს იმ შეღავათებით, რომელსაც მათ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება მისცემს. ამით დასაქმების პრობლემა ნელნელა გამოსწორდება, რაც იქნება სოციალური სფეროს გაუმჯობესების შესაძლებლობა.

**— რაც შეეხება ინვესტიციებს, როგორც ხელისუფლება ამბობს, მათ გაამარტივეს უცხოური ინვესტიციების შემოდინების საკითხები. ახლა რა დამატებითი შეღავათები იქნება მათთვის?**

– ინვესტიციის შემოდინებას პრობლემები ნამდვილად აქვს. მაგალითად, სასამართლო სისტემის გამო. ამ სფეროში ბევრი რამეა შესაცვლელი, რადგან ის სისტემატურად, ტოტალურად ახორციელებს ბიზნესების დაყადაღებას, ეს ცალკე სასაუბრო თემაა, მაგრამ რაც შეეხება ინვესტიციების შემოდინებას, ინვესტორი ამ ინვესტიციას თვლის არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ საქართველოდან ევროპის ბაზარზე. ეს არის მკაცრად რეგულირებული ბაზარი, რადგან იქ არის კვოტების, გადასახადების სისტემა.

**— რაც შეეხება ყველაზე დიდ „აქილევსის ქუსლს“ — დასაქმების პრობლემას. რეკლამებში, რომელიც ტელევიზიით ტრიალებს ევროკავშირთან ხელშეკრულების ცალკეული სფეროების შესახებ, აღნიშნულია, რომ ამ ხელშეკრულებით საქართველოს მოქალაქეს არ ეძლევა მუდმივი ბინადრობისა და დასაქმების უფლება ევროკავშირის ქვეყნებში, არადა, ფაქტია, რომ ხალხს ეს ძალიან უნდა, ბევრი უმუშევარი და გაჭირვებულია ქვეყანაში.**

– უვიზო რეჟიმი, რომელიც შევა ძალაში, გულისხმობს სამთვიან გადაადგილებას ევროკავშირის ქვეყნებში და არ გულისხმობს მუშაობის უფლებას, ეს მუშაობის უფლება არის ცალკე თემა, ქვეყნებმა უნდა გაცვალონ ერთმანეთში კანონმდებლობის ნაწილში კვოტები და საქართველომ უნდა მიიღოს გარკვეული კვოტა, რომ მისმა მოქალაქეებმა იმუშაონ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. მაგრამ პოლონეთის მაგალითზე ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი გადადის ევროპაში სამუშაოდ, ნელ-ნელა ამას ახერხებენ. ანუ თუ თქვენ გინდათ იქ დარჩენა, მოგიწევთ გარკვეული საბუთების გაფორმება. ამიტომ ვამბობ, რომ სამი თვით იქ ყოფნა არ ნიშნავს თქვენთვის სამუშაო უფლების მინიჭებას, თორემ გამოდის, რომ მთელი რიგი პირობები, რაც არსებობს გერმანიაში, შვედეთში, საფრანგეთში, უნდა განხორციელდეს თქვენზეც.

**— ევროკავშირთან ასოცირებულ, ან ახალ წევრ ქვეყნებს რა გამოცდილება აქვთ ამ მხრივ?**

– მაგალითად, პოლონეთის მთელი სამშენებლო ინდუსტრიიდან მუშები წავიდნენ ევროპაში – ბელგიასა და ინგლისში, ანუ გადაადგილება ავტომატურად ხდება და დიდი ნაკადები შეინიშნება დღესაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ალბათ, იგივეს ექნება საქართველოს მხრიდანაც ადგილი. ამ გადინებას კი ცუდი ის აქვს, რომ ჩვენ შეიძლება დავრჩეთ კვალიფიციური, პროფესიონალი მუშახელის გარეშე, რაც დიდი პრობლემა გახდება საქართველოსთვის.

**— თუ პროფესიონალია და მას შესთავაზებენ მაღალანაზღაურებად სამსახურს, ის, ცხადია, დაბალ ხელფასს დატოვებს და წავა სხვა ქვეყანაში.**

– ეს გარდაუვალი მომენტია, ჩვენ დავკარგავთ რაღაც ნაწილს ამ პროფესიონალებისას, ამისთვის კი უნდა მოვემზადოთ აუცილებლად, მეორე მხრივ კი, როგორც კი მოთხოვნა გაჩნდება, კვალიფიკაციის მიღების სურვილიც ექნებათ ადამიანებს. ეს ბაზრის მოთხოვნა იქნება.

**— საქართველოში ხომ დღესაც ბევრი რამე „ჩაწყობით“ კეთდება. უამრავი პროფესიონალი ზის სახლში და სამსახური ვერ უშოვია. ასეთი ადამიანი თუ უცხოეთის ბაზარზე კარგად „გაიყიდება“, სანაცვლოდ რამეს მიიღებს საქართველო?**

– ეს ბაზარმა უნდა დაარეგულიროს, მთავრობა ამის გაკონტროლებას ვერ შეძლებს. თუ ადამიანი სამსახურს ევროპაში იპოვის, რა თქმა უნდა, იქ წავა, ამიტომ მთავრობას შეუძლია, ბიზნესს შეუწყოს ხელი, მოიზიდოს ინვესტიციები, რომ სამუშაო ადგილები ამან შექმნას. პირდაპირი ჩარევის მექანიზმი მთავრობას არ გააჩნია. ამით სოციალური ფონი არ დამძიმდება, აქამდეც იყვნენ ადამიანები, რომლებიც საზღვარგარეთ მუშაობდნენ და აქ ოჯახებს არჩენდნენ. უნდა მოხდეს ადგილობრივი წარმოების გადაკვალიფიცირება და ინვესტიციის დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის, რითაც სოციალური ფონი გაუმჯობესდება. ეკონომიკაც გაიზრდება. თუ ევროპის ბაზარი ჩვენი დასაქმების არეალი გახდება, ეს კიდევ უფრო გააუმჯობესებს სოციალურ ფონს.

**— და ეს ყველაფერი თუ ადგილიდან დაიძრა რუსეთის ბაზარი აღარ დაგვჭირდება?**

– რუსეთი საკმაოდ დიდი რაოდენობით არის ჩვენს ბაზარზე წარმოდგენილი, მათ შორის ენერგეტიკის სფეროში, კვების სფეროში... ჩვენც გვაქვს გარკვეული მცირე პრეტენზია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტები გავიტანოთ რუსეთის ბაზარზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რახან ავითვისებთ ევროპის ბაზარს, უარი ვთქვათ რუსეთზე. არც იმას ნიშნავს, რუსეთს კისერზე ჩამოვეკიდოთ, რადგან ის გადამწყვეტი არაა ჩვენს ეკონომიკაში. რამდენიმე ბოთლი ღვინის და მწვანილის გამო ასეთი გულის კანკალი რუსეთის მიმართ არ უნდა გვქონდეს, ის მძლავრადაა აქ წარმოდგენილი და ხელს არავინ უშლის. ვერავინ გაზომავს, რას მოიმოქმედებს რუსეთი, მაგალითად, თუ გადაჭრის არხებს, ჩვენც იგივე უნდა გავაკეთოთ. რაც უფრო შორს წავალთ რუსეთისგან, უკეთესი იქნება, ის კარგი ვერ გახდება, დაბადებიდან უკონტროლოა.

უნდა ჩამოვეხსნათ რუსეთს, მერე გვაღიარებს, როგორც ძალას და ვიქნებით თანასწორი. ეს არის მიზანი, როცა საგარეო ბრუნვის ვექტორი იქნება ევროპა, მე მექნება გარანტია და ზუსტი ინფორმაცია, რა მექნება 5 და 10 წლის შემდეგ და არა ის, რა დროს რა მოუნდება რუსეთს, იმის შიშით ვიცხოვროთ. ეს სამარადჟამო ვექტორია და შეუქცევადი.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „იბერია სითი“-ს დირექტორი დააკავეს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, სამშენებლო კომპანია შპს „იბერია სითი“-ს დირექტორი, გიორგი გოგიბერიძე დააკავეს. საგამოძიებო უწყების განცხადებით:

„გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი გოგიბერიძე მის კუთვნილებაში მყოფი სამშენებლო კომპანიის, შპს „იბერია სითი“-ს სახელით 2005-2008 წლებში მოქალაქეებთან აფორმებდა ხელშეკრულებებს, რის საფუძველზეც იგი იღებდა ვალდებულებას, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების გადახდის შემდეგ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე ააშენებდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის „ა“ და „ბ“ კორპუსს, აშენების შემდეგ კი ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ბინებს (შესაბამისი ფართებით) საკუთრებაში გადაუფორმებდა კონტრაქტორ მოქალაქეებს.

ნაკისრი ვალდებულებისა და გაფორმებული ხელშეკრულებების მიუხედავად, საცხოვრებელი კორპუსების აშენების შემდეგ, გიორგი გოგიბერიძემ აღნიშნული ბინები მოტყუებით, თითქოს და მის საკუთრებას წარმოადგენდა, იპოთეკით დატვირთა და შემდგომში გაასხვისა სხვა, არაკონტრაქტორ მოქალაქეებზე. აღნიშნული გზით გოგიბერიძემ დამატებით მიიღო უკანონო შემოსავალი და თაღლითურად დაეუფლა 1 626 291 აშშ დოლარს, რამაც კონტრაქტორი მოქალაქეები მნიშვნელოვნად დააზარალა.

ამ ეტაპზე დადგენილია ათეულობით მოქალაქის კუთვნილი თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტი. მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით. გამოძიება ასევე გრძელდება ზემოხსენებულ საცხოვრებელ კორპუსებსა და ასევე, გ. გოგიბერიძის მიერ აშენებულ სხვა საცხოვრებელ კორპუსებში განთავსებული ბინების განკარგვის კანონიერების შემოწმების მიზნით“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## „რაც 2008 წელს მოხდა, ბუქარესტის გადაწყვეტილებას უკავშირდებოდა“



ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ჯეიმს აპატურაის განცხადებით:

„უელსის სამიტის შემადგენელი ელემენტებიდან ერთ-ერთი იქნება თანამშრომლობის განმტკიცება. საქართველო უკვე ახორციელებს იმაზე მეტ თანამშრომლობას, ვიდრე სხვა რომელიმე პარტნიორი. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ვაპირებთ, ვაღიაროთ თქვენი ქვეყნის წვლილი და პროგრესი, რომელსაც საქართველო ნატოსკენ მიმავალ გზაზე ახორციელებს. რაც შეეხება რუსეთის ფაქტორს, მას საკუთარი განრიგი აქვს. რაც 2008 წელს მოხდა, ნამდვილად უკავშირდებოდა ბუქარესტის გადაწყვეტილებას. ჩემი ზოგიერთი კოლეგა ამბობს, რომ თუ მაპ-ს მივცემთ ან არ მივცემთ საქართველოს, რუსეთი საპასუხო რეაქციას ორივე შემთხვევაში განახორციელებს. მე კი არ ვიცი, რას იზამს რუსეთი. ჩვენ ყველა გადაწყვეტილებას მივიღებთ მხოლოდ საქართველოს პროგრესისა და ბუქარესტის გადაწყვეტილებების მიხედვით“, – განაცხადა აპატურაიმ. (რეპორტიორი)

## „რატომ გეშინიათ ჩვენი, ბატონო ვანო და სხვა ბატონებო?!“



„ახლა ვხვდები, როგორ მთხრიდნენ და ვინ მთხრიდა ბიძინა ივანიშვილთან და რამდენ ტყუილსა და სისულელეს უყვებოდნენ ჩვენზე... ესეც გავლილია, არა უშავს...“ – ამ განცხადებას „პატრიოტთა ალიანსის“ თბილისის მერობის კანდიდატი ირმა ინაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

„პრეზიდენტის ექსმრჩეველმა, ბატონმა ვანო მაჭავარიანმა განაცხადა, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ (თურმე) პრორუსული ძალაა. კაცო, გოლდა მეირის სიყვარულის გამო, „მოსადის“ ფარულ მოკავშირედ გამომაცხადეთ, გამეცინა... გავატარე!... რუსეთის მოკავშირეობის ცინიკურ დაბრალებას ვერ გავატარებ... კიდევ ერთხელ, ხმამაღლა ვამბობ, რომ რუსეთი ჩემთვის პირადი ოკუპანტი გახდა 1993 წლის მარტში, როცა ჩემი 12 მეგობარი (გამნაღმველი და ჟურნალისტი) სოფელ აჩადარაში 500 კგ-იან რუსულ ბომბზე აფეთქდა. ხალხი არა ხართ, არ გესმით, რას ვწერ? მეორე – ივლისში მორიგი ვიზიტი გვაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კონგრესსა და სენატში. კიდევ რამდენიმე მაღალი დონის შეხვედრა გვექნება. შეგნებულად არ ვწერ, ვისთან, „ნაცებმა“ რომ არ გააგზავნონ ცრუ პასკვილები და არ მოგვთხარონ, როგორც იციან ხოლმე... ჩემი სამშობლოსთვის დასავლური ღირებულებები მემეტება, მაგრამ ჩვენი ტრადიციების, კულტურის, რწმენის დაცვის მყარი გარანტიით და არა ყველაფრის დათმობის ხარჯზე. რატომ გეშინიათ ჩვენი, ბატონო ვანო და სხვა ბატონებო... რა იდეები მაქვს ისეთი, რაც ჩემი ქვეყნის ინტერესს არ ემსახურება? თქვენ, მთელ თქვენს გვარსა და ჯიშს სამშობლოსთვის ერთი წვეთი სისხლი მაინც დაუღვრია?! ქართული მიწის დასაცავად სიცოცხლე გაუწირავს? ბალახი და მიწა უჭამია?!.

და იცით, რა მაფიქრებს კიდევ? ამდენი საჯარო პერსონის ლუსტრაციის მოწმე რომ გავხდი. პრორუსულ ძალად ჩვენს გამოცხადებას მარტო „ნაცები“ როდი ცდილობენ?!. ცხოვრებაში მხოლოდ საკუთარი თავის და ჩემი მეგობრების იმედი მქონდა და არც ბიძინა ივანიშვილი მყოლია და არც ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც იმ ხალხმა გაწირა, ვისაც ბადრიმ მხოლოდ სიკეთე გაუკეთა... ეს პოლიტიკური ანუსები კიდევ ბევრ ხაფანგს დაუგებენ ხელისუფლებასაც და ქვეყანასაც... ჩვენ კი, სიცოცხლის ბოლომდე ჩვენი ქვეყნის ერთგულ ჯარისკაცებად დავრჩებით და თუ საჭირო გახდება, ქართული მიწისთვის დავიხოცებით კიდეც... ამ მოლაპარაკე ფუტლიარების დიდ ნაწილს სამშობლოსთვის სიკვდილიც არ შეუძლიათ. ისინი ნგრევისთვის არიან დაბადებული“. – წერს ინაშვილი. (რეპორტიორი)

## ჯულიანა ბარ-გნარი: „მიშა მესხი ძალიან ტკბილი ადამიანია, მაგრამ მუშაობის დროს კონცენტრაცია აკლდა“



მოცეკვავის თქმით, მიშა მესხი ხალხს იმიტომ უყვარს, რომ გულწრფელია.

– მესამე ტურში მსახიობ გიორგი ყიფშიძესთან პირველივე შეხვედრიდან მივხვდი, რომ თავისი საქმის პროფესიონალი იყო, მოგების ჟინი ჰქონდა და იმ ეტაპზე ცეკვა იყო მისი მთავარი მიზანი. მასთან მუშაობა არ გამჭირვებია, საინტერესო პიროვნებაა, ბევრი იდეით დატვირთული. მაგალითად, თუ გაიგებდა, „ჩაჩაჩას“ ტური იყო, მთელი ღამე „იუთუბიში“ ამ ცეკვას უყურებდა. გიორგის რომ ვეცეკვებოდი, არ მქონდა განცდა, რომ დამწყები იყო. გასაკვირია, რომ მას არასდროს უცეკვია. რაც შეეხება მსახიობ მიშა მესხს, ის ძალიან ტკბილი ადამიანია, მაგრამ მუშაობის დროს კონცენტრაცია აკლდა, ბოლომდე იხარჯებოდა და როცა რაღაც არ გამოსდიოდა, საკუთარ თავზე ბავშვივით ბრაზდებოდა. ვიცი რატომაც უყვარს მიშა ხალხს – ის გულწრფელია. მას კარგი პლასტიკა და გარეგნობა აქვს, – განაცხადა ბარ-გნარმა „სარკესთან“ საუბრისას.

*pia.ge*

## გიორგი გურგულია: „49 წლის კაცს 28 წლის გოგო მიყვარს“



მსახიობის თქმით, სიყვარულმა ასაკი არ იცის, უბრალოდ რაღაცები მორალურად არასწორია.

– რბილი ხასიათის ქალს ვანიჭებ უპირატესობას. 49 წლის ვარ და ალბათ, ეს ის ასაკია, როცა ყველა ქალში სიმშვიდეს ეძებ. ამის გარდა ყველაფერი მაქვს. არ ვიცი... ერთი წელია, რაც მიყვარს. 28 წლის გოგო შემიყვარდა. სიყვარულმა ასაკი არ იცის, უბრალოდ, რაღაცები მორალურად არასწორია. სულ ვერიდებოდი ლუკაზე პატარა გოგოსთან ურთიერთობას, მაგრამ შვილი რომ გამიჩნდა, მეც ძალიან პატარა ვიყავი და თავს ამით ვიმართლებ. კლუბიდან ნასვამი გამოვედი. მეგობარი გავაცილე. ის გოგონა ტაქსს აჩერებდა, როცა ვუთხარი, სად მიდიხარ-მეთქი. შემომხედა, ტაქსი გაუშვა და არსადო, მითხრა. ერთმანეთით ორივე მოვიხიბლეთ და ჩვენი ურთიერთობაც შედგა. მომავალზე არ ვფიქრობ, – განაცხადა გურგულიამ „სარკესთან“ საუბრისას.

*pia.ge*

## ზაზა კოლელიშვილის მორაგბე ვაჟი დაქორწინდა



მორაგბე ვიტო კოლელიშვილი დაქორწინდა. ვიტომ და ლალიკო მოსიამ 24 ივნისს ხელი სიღნაღში მოაწერეს, საღამოს კი საქორწინო მოგზაურობაში გაემგზავრნენ. ლალიკო ბიზნესის მართვის სპეციალობაზე სწავლობს. ვიტო კოლელიშვილი საფრანგეთში „ლიონში“ თამაშობს.

მართალია, სკოლის დამთავრების შემდეგ მამის, ზაზა კოლელიშვილის მსგავსად მსახიობობა გადაწყვიტა და თეატრალურზე ჩააბარა, მაგრამ შემდეგ რაგბი აირჩია. იმ იმედით, რომ კინოში თუ ვინმეს მისი დაკავება მოუნდებოდა, როლს ისედაც შესთავაზებდნენ. სპორტში აქტიურად დაიწყო ვარჯიში და დიდ წარმატებას მიაღწია.

*reitingi.ge*

## ნიკოლოზ რაჭველის ახალი ნაწარმოები — დედა და გაუსაძლისი მონატრება, რომელიც არასდროს გაქრება



– ამ მუსიკით ასევე გამოვხატავ გაუსაძლის მონატრებას, რომელიც ვიცი აღარასდროს გაქრება ჩემი დარჩენილი ცხოვრებიდან, – წერს ახალი ნაწარმოების შესახებ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ნიკოლოზ რაჭველი და მსმენელს 29 ივნისს, 8 საათზე რუსთაველის თეატრში ეპატიჟება.

სპეციალურად ამ დღისთვის თბილისს მსოფლიოში ყველაზე წარმატებული მესაყვირე, სერგეი ნაკარიაკოვი ეწვევა. მუსიკოსი რაჭველის ნაწარმოებში საყვირის ფინალურ მონაკვეთს შეასრულებს.

ნიკოლოზ რაჭველი:

– ჩემო ძვირფასებო, დავასრულე ნაწარმოებზე მუშაობა, რომლისთვისაც ორი კვირის მანძილზე ბათუმში გახლდით განმარტოებული. ნაწარმოები დიდი სიმფონიური ორკესტრისთვის ჩავიფიქრე და ფინალურ ეპიზოდში საყვირი უკრავს სოლოს, ნელ მუსიკას, ძალიან სევდიანს... გამომივიდა ავტობიოგრაფიული, თითქოს მუსიკით მოვუთხრობ მსმენელს ჩემთვის ყველაზე მძიმე დღეებს, რომელიც დეკემბერში გამოვიარე და ალბათ, ამ მუსიკით ასევე გამოვხატავ გაუსაძლის მონატრებას, რომელიც ვიცი, აღარასდროს გაქრება ჩემი დარჩენილი ცხოვრებიდან.

*newposts.ge*

## „ნატაშკა მსუბუქი ყოფაქცევის ქალი არ არის!“



მსახიობ ეკა დემეტრაძის თქმით, მისი და მისი ქმრის ურთიერთობა სანდრექსასა და ნატაშკას ურთიერთობისგან რადიკალურად განსხვავდება.

– მსუბუქი ყოფაქცევის ქალია ის, ვინც სექსუალურ ურთიერთობაში ფულს იღებს ან ბევრი პარტნიორი მამაკაცი ჰყავს, ნატაშკა კი არ არის ასეთი. ჩემი და პაატას ურთიერთობა რადიკალურად განსხვავდება ნატაშკას და პაატას ცოლქმრობისგან და ნატაშკასა და სანდრექსას ურთიერთობისგანაც. რაც დრო გადის, უფრო დიდი მეგობრები ვხდებით. რა თქმა უნდა, პრობლემები ხშირად გვქონია, ყოველდღიურობაში რაღაცები ირევა და რაღაცები უკანა პლანზე გადადის, მაგრამ ვცდილობთ, შევინარჩუნოთ ის, რაც ყველაზე მთავარია – სიყვარული, – განაცხადა დემეტრაძემ „სარკესთან“ საუბრისას.

*pia.ge*

## დათო ფორჩხიძე: „ქართველი როსკიპების 80%-ს მამაკაცის სასქესო ორგანო სძულს“



მუსიკოსის თქმით, მეძავი ლარის კურსზე ან ღარიბაშვილ-მარგველაშვილის ურთიერთობაზე უფრო სიამოვნებით გელაპარაკება, ვიდრე რამე სექსუალურ ეროტიკულ ფრაზას შემოგძახებს, რომ უფრო ენთუზიაზმით დაკავდე სექსით.

– დღეს სექსუალური ცხოვრება ძალიან ცოტათია თავისუფალი. ჩვენთან სექსი აკრძალული თემა იყო, დღეს კი, როცა ამაზე დაიწყება საუბარი, ან ქართულ ფილმში გამოჩნდება ეროტიკული დეტალები, ასეთი შეფასება ისმის, ჩვენ რა, სექსი გვიკვირს? გვიკვირს, ხალხო! 1998 წელს დავწერე სიმღერა, რომელშიც ჩავსვი ასეთი ტაეპი – „არც კი მახსოვს, მერამდენედ გავათავე“. 2011 წელს კი, ახალი წლის კონცერტზე ამ ფრაზას ტუუუუუუუ დაადეს, ე.ი. 20011 წელს აღმოვჩნდით იმ ეპოქაში, სადაც ამ სიტყვის გამოყენება არ შეიძლება. 90-იან წლებს რომ ელადავებით, მინდა გითხრათ, რომ, ჩემი აზრით, 90-იანი წლები იყო ქართული პროგრესის ოაზისი. ინტერნეტმა მატრიცებად გვაქცია, კოლბებში ჩაგვამონტაჟა ბილ გეითსმა და სექსიც აქ გვაქვს, ჩხუბითაც აქ ვჩხუბობთ და ყველაფერს აქ ვაკეთებთ. მე ინტერნეტის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ვირტუალურად არ უნდა ვცხოვრობდეთ. მე თუ ნამდვილ ქალს ერთ ადგილას ხელი არ მოვკიდე, სექსი არ გამოვა, მე ვიცი ნამდვილი სექსის ფასი და ამას ვერაფერი ჩამინაცვლებს, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. ჩემი აზრით, გოგო, რომელიც არ ღალატობს იმ ადამიანს, ვისაც ერთგულება შეჰფიცა და ფულს არ იღებს სხეულის გაყიდვაში, ის ბოზი არაა. ქართველი ქალი, რომელიც სექსით კავდება თავის შეყვარებულთან ქორწილამდე, ბოზი არ არის. ზოგადად ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქართველი როსკიპების 80%-ს სძულს მამაკაცის სასქესო ორგანო, ყელში იმდენად აქვთ ეს საქმე ამოსული, რომ ლარის კურსზე ან ღარიბაშვილ-მარგველაშვილის ურთიერთობაზე უფრო სიამოვნებით გელაპარაკება, ვიდრე რამე სექსუალურ ეროტიკულ ფრაზას შემოგძახებს, რომ შენ უფრო ენთუზიაზმით დაკავდე მასთან სექსით. სიმართლე გითხრათ, ახლა რა მდგომარეობაა, ამ მხრივ, არ ვიცი, რადგან ცოლს არ ვღალატობ, მაგრამ როცა ცოლი არ მყავდა, ვაღიარებ, რომ დავდიოდი და ძირითადად პოლიტიკაზე მესაუბრებოდნენ, – აცხადებს ფორჩხიძე „რეიტინგთან“ საუბრისას.

*pia.ge*

## თიკა ჯამბურია: „დროა, სიმპათიური ბიჭებისგან ჭკვიანებზე გადავიდე...“



მომღერლის თქმით, მისი პოპულარობის გამო ბიჭები საკუთარი თავის დასამკვიდრებლად ზედმეტი თვითრეკლამით იყვნენ დაკავებულნი.

– კლუბში ყოფნისას ბიჭების ყურადღება არ მაკლია. შესაძლოა, თიკა რომ არ ვიყო, ნაკლები ყურადღება გამოეჩინათ, მაგრამ ხშირად დაკომპლექსებულან ჩემი პოპულარობის გამო და საკუთარი თავის დასამკვიდრებლად ზედმეტი თვითრეკლამით იყვნენ დაკავებულნი. ბიჭები ჩემთან ურთიერთობაში საკუთარ თავს იმკვიდრებდნენ სხვა გოგონებით, ანუ მიყვებოდნენ, რამდენი გოგონა ჰყოლიათ. კაცისთვის ყოველთვის რთულია იმაზე ფიქრი, რომ გოგონაზე რაღაცით ნაკლებია. პოპულარობამ ისიც მომიტანა, რომ ადამიანებს კარგად ვცნობ და ბევრი ვიცი ურთიერთობებზე. ალბათ, ამიტომაც არ მიმართლებს პირად ცხოვრებაში. დროა, სიმპათიური ბიჭებიდან ჭკვიან ბიჭებზე გადავიდე, – განაცხადა ჯამბურიამ „რეიტინგთან“ საუბრისას.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– ძალიან მიყვარს გემოზე მოდუნება – ჩავჯდები ხოლმე სავარძელში და შემიძლია, 3-4 საათი ვიჯდე და თევზებს ვუყურო.

– მერე ცოლი არ ბრაზდება?

– აბა, რა მაგის საქმე, რით ვარ დაკავებული სამსახურში?!

*****

– რაიმე ნაკლი გაქვს?

– კი – გადაჭარბებული პირდაპირობა!

– ვფიქრობ, პირიქით, ეგ ნაკლი კი არა, ღირსებაა.

– აი, სულ ფეხებზე მკიდია, რას ფიქრობ!!!

*****



ცოლი ქმარს ურეკავს:

– კოტე, მანქანაში ნავიგატორს რამე შეუცვალე?

– კი, ძვირფასო... მაინტერესებდა, თბილისიდან სამტრედიამდე რა მანძილი იყო...

– ჰოდა, მადლობა! სამტრედიაში ვარ!!!

*****

– რაბინოვიჩ, ხომ არ იცით, სად შეიძლება წელს ყველაზე იაფად დასვენება?

– როგორ არ ვიცი – დივანზე!..

*****

სტომატოლოგის კაბინეტიდან გამოსვლის წინ დედა 5 წლის შვილს ეკითხება:

– აბა, რა უნდა უთხრა ბიძიას?

ბავშვი ტირილით:

– შე დამპალო!!!

*****

– შვილო, ჩადი რა მაღაზიაში?

– და ჯადოსნური სიტყვა?

– ინტერნეტს გაგითიშავ!

– მივრბივარ!!!

*****

– ექიმო, სად მივდივართ?

– მორგში!

– ესე იგი, ჯერ არ მოვმკვდარვარ?

– ჯერ არც მივსულვართ!..

*****

- დიდი ბოდიში, მაგრამ უკვე 2 საათია, ყურმილი ტყუილად გიჭირავთ ხელში და ხმა არ ამოგიღიათ! თუ შეიძლება, მე მაინც დამარეკინეთ.

- მაცადე, კაცო, ცოლს ველაპარაკები!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## საძიებო სისტემები – საფრთხე მეხსიერებისთვის?




გამოგიტყდებით და საძიებო სისტემებს ძალიან ხშირად ვიყენებთ, სხვანაირად არ გამოდის და იმიტომ, მაგრამ ნამდვილად არ გვეგონა, თუ საკუთარ მეხსიერებასა და აზროვნებას საფრთხეს ვუქმნიდით.

კოლუმბიის უნივერსიტეტის სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ინტერნეტის საძიებო სისტემები კაცობრიობას დათვურ სამსახურს უწევს. კერძოდ, მათი გამოყენება იმით სრულდება, რომ ადამიანები ბევრი რამის დამახსოვრებას საერთოდ აღარ მიიჩნევენ საჭიროდ.

მოსაზრების ავტორთა თქმით, ძალიან ბევრ ადამიანს ინტერნეტი, პრაქტიკულად, მეხსიერებას უცვლის. კერძოდ, ინფორმაციას დამახსოვრება აღარ სჭირდება, რადგან ყველაფრის მოძებნა ხომ რამდენიმე წამშია შესაძლებელი?

ამასთანავე, არ არსებობს ბიბლიოთეკაში წასვლის ან წიგნის შეძენის აუცილებლობა, რათა ადამიანმა საჭირო ინფორმაცია დააზუსტოს. საკმარისია მხოლოდ კომპიუტერის ჩართვა და ეგ არის.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ამერიკელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ როცა არ არსებობს ინფორმაციის დამახსოვრების აუცილებლობა, შესაბამისად, თავის ტვინის უნარი, შეინახოს კონკრეტული ინფორმაცია, ქვეითდება. ადამიანი იმახსოვრებს არა მონაცემებს, არამედ იმას, სად შეიძლება მათი მოძებნა. შედეგად, მახსოვრობა, დაახლოებით, 40 პროცენტით ზარალდება.

– როცა არ არსებობს აუცილებლობა, თავში რამე შევინახოთ, ტვინი ზარმაცდება, რაც სავსებით ბუნებრივი, მაგრამ დამღუპველი მოვლენაა, – ამბობენ ამერიკელი მეცნიერები.

***medkarta.com***

## 8 წლის ბავშვმა ბიპლანის ფრთაზე ფრენის რეკორდი დაამყარა



მძაფრი შეგრძნებების მოყვარულმა 8 წლის ინგლისელმა, ტაიგერ ბრიუერმა, გასულ დღეებში მთელი მსოფლიოს გაკვირვება და ალაპარაკება შეძლო – მან ბიპლანის ფრთაზე ფრენის რეკორდი დაამყარა.

როგორც ირკვევა, ტაიგერ ბრიუერი თვითმფრინავის ფრთაზე ფეხზე მდგომარე მიამაგრეს და ფრენაც ასეთ უჩვეულო მდგომარეობაში განხორციელდა.

გაბედული ნაბიჯის წყალობით, ინგლისელი ამ საშიში ტრიუკის ყველაზე ახალგაზრდა შემსრულებელი გახდა და უახლოეს მომავალში, მისი მშობლები გინესის რეკორდების წიგნის ექსპერტებს მიმართავენ, რათა მათი შვილის რეკორდი შესაბამისად შეფასდეს და დაფასდეს.

რეკორდის დამყარებისას, ბიპლანი, რომელზეც ტაიგერ ბრიუერი იყო მიმაგრებული, 300 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა და 160 კილომეტრ/საათის სიჩქარე განავითარა. ზუსტად რა მანძილი იფრინა გაბედულმა ინგლისელმა, უცნობია, თუმცა მიწაზე დაშვებისას ის აღფრთოვანებას ვერ მალავდა და ამბობდა, რომ ტრიუკს პირველივე შესაძლებლობისთანავე გაიმეორებდა.

– თითქოს, მთელ დედამიწას მოვექეცი ზემოდან და დავფრინავდი, როგორც არწივი, – სახეგაბრწყინებული ყვებოდა ტაიგერ ბრიუერი.

ნეტავ, ასეთი სახიფათო ტრიუკის შესრულების უფლებას 8 წლის შვილს ქართველი მშობლებიც თუ მისცემდნენ?

***top.rbc.ru***

## შოკოლადის რაციონიდან ამოღება ძალიან დიდი შეცდომააო



შვედი მეცნიერების ინფორმაციით, ისეთი ადამიანებისთვის, რომლებმაც ინფარქტი გადაიტანეს, შოკოლადი ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი პროდუქტია.

როგორც ირკვევა, საკმაოდ ხანგრძლივი კვლევის შედეგად, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ შოკოლადის კვირაში, თუნდაც, ორჯერ მიღებას მაინც გულ-სისხლძარღვთა დაავადებით გარდაცვალების რისკის შემცირება სამჯერ შეუძლია.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექიმები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებმა თავიანთი რაციონიდან შოკოლადის ამოღებაზე უარი თქვან!

„თუკი არ გაწუხებთ ზედმეტი წონა და დიაბეტი, ასეთ შემთხვევაში, შოკოლადზე უარის თქმა არც კი იფიქროთ“, – ამბობენ შვედი სპეციალისტები და დასძენენ, რომ ამ ტკბილეულს სრულიად ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც კი ძალიან დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია.

მოკლედ, ექიმები საკმაოდ სასარგებლო და, ამასთანავე, გემრიელ რჩევას გაძლევენ და მოდით, არ თქვათ უარი შოკოლადზე, რაც ისევ თქვენივე კეთილდღეობისთვის იქნება მისწრება.

***myjane.ru***

## ქალებს ფულის ეკონომია მართლა არ სცოდნიათ



ავსტრალიელმა მეცნიერებმა შეძლეს და შესაბამისი საბუთებით დაამტკიცეს ტრადიციული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მშვენიერ სქესსა და ფულის ეკონომიურად ხარჯვას შორის, უზარმაზარი უფსკრულია გაჩენილი.

როგორც ირკვევა, მწვანე კონტინენტის მკვიდრებმა 1300 ქალი გამოკითხეს და დანამდვილებით დაასკვნეს – მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ფულის ეკონომია მართლა არ სცოდნიათ.

მკვლევარების განმარტებით, ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ სხვადასხვა ნივთის შეძენას, ქალები უდგებიან არა ლოგიკური, არამედ ემოციური თვალსაზრისით.

საინტერესოა, რომ რესპონდენტების უმრავლესობამ საკუთარი პირით აღიარა – ძალიან ხშირად მომხდარა ისე, რომ შეუძენიათ ნივთი, რომელშიც მთელი ხელფასი „მიუფშვნიათ“ და შემდეგში არაფერში გამოდგომიათ.

– მათი მიდგომა გარეგნულად მომხიბვლელ ნივთებთან მიმართებაში უფრო იმპულსურია, ვიდრე რაციონალური, – დაასკვნეს მეცნიერებმა.

გარდა ამისა, ავსტრალიელმა მკვლევარებმა მშვენიერი სქესი იმაშიც ამხილეს, რომ თურმე, მათ ფულის მოგროვება თითქმის არ შეძლებიათ. კერძოდ, გამოკითხულთა მესამედის თქმით, მათ „შავი დღისთვის“ საერთოდ არაფერი აქვთ გადანახული, 43 პროცენტი კი აღიარებს, რომ დანაზოგი აქვს, მაგრამ ძალიან უმნიშვნელო...

***woman.ru***

## მეცნიერებმა ცოლ-ქმარს შორის სიყვარულის გახანგრძლივების გზას მიაგნეს



სამწუხაროდ, ხშირად ისე ხდება, რომ სიყვარული მალე „ცვდება“ და „ვარდისფერი სათვალეები“, რომლებსაც წყვილი ურთიერთობის პირველ ეტაპზე მოირგებს ხოლმე, 2-3 წელიწადში მწარე რეალობას ყველაზე მუქ ფერებში აჩენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერები ძალიან შეეცადნენ, რომ ცოლ-ქმარსა და ზოგადად, წყვილებს შორის მუდმივი იდილიის დასადგურების გზა მოეძებნათ და მგონი, მიაგნეს კიდეც – სიყვარულის მოფრთხილებას სპეციალისტები ფერომონების დახმარებით გვირჩევენ.

უფრო კონკრეტულად კი აი, რა ხდება – როგორც წესი, შეყვარებულებისთვის დამახასიათებელია ერთმანეთზე მუდმივი ფიქრი, დროის უმეტესი ნაწილის რჩეულთან გატარების დაუოკებელი სურვილი და ასე შემდეგ. ამ ყველაფერზე კი პასუხისმგებელი ის ქიმიური პროცესებია, რომლებიც ადამიანის თავის ტვინში მიმდინარეობს და თავის მხრივ, ემოციებზე აგებს პასუხს. სიყვარული კი სწორედ ემოციებზე არ არის აგებული?

მოკლედ, მეცნიერები გვთავაზობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი რჩეულის მხრიდან გაუცხოებას შეამჩნევთ, საქმეში მაშინვე ფერომონები ჩართოთ, ნივთიერებები, რომლებსაც თავის ტვინზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია.

***myjane.ru***

## ყველაზე ხშირად, მძღოლების ყურადღების გაფანტვაზე მობილური და ბავშვები მოქმედებენ



სტატისტიკის თანახმად, ოთხიდან სამი ავარიის მიზეზი მძღოლის ყურადღების გაფანტვა ხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრიტანელმა მკვლევარებმა გადაწყვიტეს იმის დადგენა, მაინც რა ახდენს ყველაზე უარყოფით გავლენას მძღოლების ყურადღებაზე და კვლევის შედეგად საკმაოდ საინტერესო დასკვნაც მომზადდა.

აღმოჩნდა, რომ მძღოლების ყურადღების გაფანტვის პირველი მტერი მობილური ტელეფონი ყოფილა, მეორე ადგილზე კი ბავშვები გავიდნენ.

გამოკითხვის ფარგლებში, რესპონდენტებმა ანონიმური კითხვარები შეავსეს, რომლებში დასმულ კითხვებს მათ მხოლოდ გულახდილი პასუხები გასცეს.

კვლევის შედეგი ასეთია – გამოკითხულთა ნახევარზე მეტი, კერძოდ კი, 52 პროცენტი, საკმაოდ სოლიდური ჯარიმის არსებობის მიუხედავად, მობილურ ტელეფონზე საუბარს თავს მაინც არ ანებებს. 40 პროცენტი იმაშიც გამოტყდა, რომ საჭესთან მოკლე ტექსტურ შეტყობინებებსაც წერს.

რაც შეეხება ავარიების გამომწვევ მორიგ მიზეზს, როგორც უკვე გითხარით, დამნაშავეები ბავშვები ყოფილან.

მძღოლების თქმით, იმ ქაოსში, რომელსაც პატარები არა მხოლოდ გზებზე, არამედ ავტომობილის სალონში ატრიალებენ, საჭის მართვა, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება.

მართალია, ბავშვები ასეთ შეცდომას დაუფიქრებლად უშვებენ, მაგრამ, ცხადია, უფრო მეტი პასუხისმგებლობა მაინც უფროსებს მოეთხოვებათ. ჰოდა, იმგზავრეთ უფრო ყურადღებით და უსაფრთხოებაც გარანტირებული გექნებათ.

***autoportal.ua***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. მსახიობი ნანკა ...
2. კუ. ინახავდა ოქროს გასაღებს
3. შრომა
4. მანანას რადიომიმღები
5. ფრანგი მხატვარი
6. „მაუგლი“ ავაზა
7. საქონლის სადგომი
8. ინდაურის კერძი
9. მსახიობი შირლი ...
10. ქალაქი ვოლგის დელტაში
11. ჯუჯა, ანუ ...
12. ადამიანთა წარგზავნილი ჯგუფი
13. მიწის ფართობის ერთეული
14. ყურძნის ჯიში
15. პატარა სასაცილო ამბავი
16. მორბენალი ფრინველი
17. საბერძნეთის დედაქალაქი
18. ალთქმული ადგილი პეროუში
19. ქალაქი საფრანგეთში
20. კრავის მატყლი
21. ვენეციური ნავი
22. მსახიობი ერიკ ...
23. მკვებავი ხაზი, რომელიც გადის ელექტროსადგურიდან
24. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
25. ედმონ ..., იგივე გრაფი მონტე-კრისტო
26. რეჟისორი ლარს ფონ ...
27. გერმანული ფულის ერთეული
28. ცხენოსანი არმია
29. ნუშის ლიქიორი
30. კოსმოდრომი ყაზახეთში
31. საფრენი აპარატი
32. მსახიობი ... ტომპსონი
33. ერთგვარი ფანქარი
34. ქალაქი ავსტრიაში
35. არქიმედეს შეძახილი აბანოში
36. ცული
37. ჭაობში წარმოქმნილი ნიადაგი
38. მხედართმთავარი
39. სურნელოვანი ფისი
40. მხ/ფ „დიდი მწვანე ...“
41. მარცვლოვანი მცენარე
42. ვაქცინაცია
43. „ ღვინის ქურდები“ კავსაძე
44. სწორი ადგილი გრაფიკზე
45. სამანიშვილების სიძე
46. კურორტი ზუგდიდის რაიონში
47. რეჟისორი ... ჰოვარდი
48. ბულგარული არაყი
49. საქონელგაცვლა საგარეო ვაჭრობაში
50. მსახიობი ჯენიფერ ...
51. „მეხუთე ელემენტი“ იოვოვიჩი
52. დიდი მაღაზია
53. იაზონის გემი
54. გიგანტური ზომის ადამიანი
55. მხატვრის ფუნჯი
56. თითებით დასარტყამი საკრავი
57. ერთგვარი ქუდი
58. მომღერალი რაფაელა ...
59. ტოლჩა
60. ათასწლეულის დასასრული
61. ინერტული აირი
62. მსახიობი უორენ ...
63. კერძების ჩამონათვალი
64. სახელმწიფო აფრიკაში
65. გასაღები
66. მეტროს მოძრავი კიბე
67. რადიოლოკატორი
68. ლომის თათი
69. ტაში
70. რუსი კომპოზიტორი
71. პირადობის მოწმობა
72. სახელმწ. ... და ტობაგო
73. პარლამენტის თავმჯდომარე
74. მისი დედაქალაქია ტოკიო
75. გადამდნარი ღორის ქონი
76. მსახიობი დრიუ ...
77. შეხვედრა, ანუ ...
78. მსახიობი ... ბენინგი
79. გამოთქმა: ... ჭრის და ... კერავს
80. ... ანანიაშვილი
81. პოეტი ... ალიგიერი
82. იტალიელი მოქანდაკე
83. დასტინ ჰოფმანი ფილმში
84. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
85. ავტოსაგზაო შემთხვევა
86. მომლოცველი
87. ბალეტ „ჟიზელის“ ავტორი
88. ბოსტნეული
89. ყანწის მასალა
90. რუსი მომღერალი ალექსანდრე ...
91. მხატვარი ალბრეხტ ...
92. მხატვარი ოგიუსტ ...
93. მონეტების შემგროვებელი
94. ტროპიკული ნაყოფი
95. ქოქოსის გული
96. „და ვინჩის კოდი“ ავტორი ... ბრაუნი
97. რეჟისორი კვენტინ ...
98. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
99. მხ/ფ „ვერის უბნის ...“
100. მეტყველების ექიმი
101. ბუდისტი მასწავლებელი
102. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
103. ... პუგაჩოვა
104. თანხა, მამა უხდის შვილს
105. მხატვარი ავთო ...
106. დანა, კოვზი, ...
107. მდინარე გერმანიაში
108. „... სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“
109. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
110. მხატვარი კამილ ...
111. გრამატიკული ტერმინი
112. ... ტიმოშენკო
113. კაენის მსხვერპლი
114. ქალაქის მუნიციპალიტეტი
115. მდ. სანკტ-პეტერბურგში
116. ხორთუმიანი ცხოველი
117. უნივერსიტეტი ... მატერი
118. კავშირებითი სიტყვა
119. ... ხეთაგუროვი
120. მსახ. დუეინ ... ჯონსონი
121. ადამიანის ბიოველი
122. მზის ღმერთი ეგვიპტეში
123. ქართ. საესტრადო ანსამბლი
124. ნადირობის ქალღმერთი
125. ტბა უნგრეთში
126. მწერალი ალფონს ...
127. მსახიობი ... ჰარლი
128. მსახიობი ... ზეტა-ჯონსი
129. ტრავიატა“ პერსონაჟი
130. გაზაფხულის თვე
131. კომპოზიტორი ... სენსანსი
132. ბულგარელი ნათელმხილველი
133. მსახ. ... მახარაძე
134. ჩანთოსანი დათვი
135. შეძახილი ტკივილისას

პასუხები: 1. კალატოზიშვილი; 2. ტორტილა; 3. ჯაფა; 4. რადიოლა; 5. მილე; 6. ბაგირა; 7. ბოსელი; 8. საცივი; 9. მაკლეინი; 10. ასტრახანი; 11. ქონდრისკაცი; 12. დელეგაცია; 13. აკრი; 14. რქაწითელი; 15. ანეკდოტი; 16. სირაქლემა; 17. ათენი; 18. ელდორადო; 19. ლიონი; 20. კრაველი; 21. გონდოლა; 22. ბანა; 23. ფიდერი; 24. მედინა; 25. დანტესი; 26. ტრიერი; 27. მარკა; 28. კავალერია; 29. ამარეტო; 30. ბაიკონური; 31. დირიჟაბლი; 32. ემა; 33. ფლომასტერი; 34. ინსბრუკი; 35. ევრიკა; 36. ნაჯახი; 37. ტორფი; 38. სარდალი; 39. საკმეველი; 40. ველი; 41. ბრინჯაო; 42. აცრა; 43. ელიბო; 44. პლატო; 45. კირილე; 46. ანაკლია; 47. რონ; 48. რაკია; 49. ბარტერი; 50. ენისტონი; 51. ლილუ; 52. სუპერმარკეტი; 53. „არგო“; 54. გოლიათი; 55. ყალამი; 56. დაირა; 57. კეპი; 58. კარა; 59. კათხა; 60. მილენიუმი; 61. არგონი; 62. ბიტი; 63. მენიუ; 64. ლესოტო; 65. კლიტე; 66. ესკალატორი; 67. რადარი; 68. ტორი; 69. აპლოდისმენტი; 70. სკრიაბინი; 71. პასპორტი; 72. ტრინიდადი; 73. სპიკერი; 74. იაპონია; 75. ლარდი; 76. ბერიმორი; 77. რანდევუ; 78. ანეტ; 79. თან; 80. ნინო; 81. დანტე; 82. დონატელო; 83. „ტუტსი“; 84. მისისიპი; 85. ავარია; 86. პილიგრიმი; 87. ადანი; 88. კიტრი; 89. რქა; 90. მალინინი; 91. დიურერი; 92. რენუარი; 93. ნუმიზმატი; 94. მანგო; 95. კოპრა; 96. დენ; 97. ტარანტინო; 98. მისური; 99. მელოდიები; 100. ლოგოპედი; 101. გურუ; 102. აგნი; 103. ალა; 104. ალიმენტი; 105. ვარაზი; 106. ჩანგალი; 107. რაინი; 108. ბოროტსა; 109. მარადია; 110. კორო; 111. ზმნიზედა; 112. იულია; 113. აბელი; 114. მერია; 115. ნევა; 116. სპილო; 117. ალმა; 118. და; 119. კოსტა; 120. როკ; 121. აურა; 122. რა; 123. „ორერა“; 124. დიანა; 125. ბალატონი; 126. დოდე; 127. ლიზ; 128. კეტრინ; 129. ვიოლეტა; 130. მაისი; 131. კამილ; 132. ვანგა; 133. კოტე; 134. კოალა; 135. ვაი. იკითხება: ტოტო.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ადამიანის წონა პირდაპირ კავშირშია... კლიმატთან



რა გააწყალა გული ამდენმა მიზეზმა, კაცო, ყველაფერი მოქმედებს წონის მატებაზე და დაიღალა ხალხი მუცელშესუნთქული სიარულით. მაინც, ვინ დადის ხოლმე მუცელშესუნთქული? რა ვიცით, აბა, ბევრს ვიცნობთ ასეთს...

სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, კლიმატი სწორედაც რომ პირდაპირ კავშირშია ადამიანის წონასთან. მაგალითისთვის, ქალები, რომლებიც სამხრეთის ქვეყნებში ცხოვრობენ, გაცილებით ადვილად იშორებენ ზედმეტ კილოგრამებს, ვიდრე ისინი, რომლებიც ევროპულ სახელმწიფოებში ცხოვრობენ.

ყველაფერში დამნაშავე მზე ყოფილა (პლუს რაციონიც, რაღა თქმა უნდა). უფრო რომ დავაზუსტოთ, მზის მცხუნვარება ორგანიზმში გარკვეულ გენეტიკურ ცვლილებებს იწვევს, რასაც ის შედეგი მოსდევს, რომ მადის კონტროლი უფრო ადვილი ხდება. შედარებით ცივი ქვეყნების მკვიდრთ ორგანიზმში გენი გალანინი გამოუმუშავდებათ, რომელიც შიმშილისა და წყურვილის გრძნობის გაკონტროლებას ართულებს. გარდა ამისა, გალანინი უბიძგებს ადამიანს, ჭამოს ცხიმიანი და კალორიული საკვები და მიიღოს ალკოჰოლი. ჰოდა, რა შედეგიც მოსდევს ამ ყველაფერს, კი მიხვდებოდით, ალბათ.

**myjane.ru**

## სასმელი, რომლებიც სიცხეში დაგეხმარებათ



მოდით, პირველ რიგში, მავნე გაზიანი სასმელები დაივიწყეთ, რომელიც არა თუ კლავს წყურვილის გრძნობას, მას უფრო მეტად აძლიერებს, რისი მიზეზიც შაქრის მაღალი შემცველობაა. მაქსიმუმ, გაზიანი სასმელი მაშინ გაგაგრილებთ, ცივ ბოთლს ან ქილას შუბლზე თუ მიიდებთ.

მაშ, როგორ უნდა უშველოთ წყურვილს ცხელ ამინდებში? ყველაზე სასარგებლო სასმელებად სპეციალისტები ასახელებენ: ლიმონიან წყალს, აირანს (კეფირის ნაირსახეობა), მწვანე ჩაისა და მორსს (სასმელი, რომელიც წითელი და შავი მოცვისგან მზადდება).



ახლა უფრო დავაკონკრეტოთ: სახლის პირობებში სიცხის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალება გახლავთ, ლიმონის წვენს დამატებული წყალი. კერძოდ, ნახევარი ლიმონი სრულიად საკმარისია 2 ლიტრი წყლისთვის.

ასევე, შესანიშნავი საშუალებაა მწვანე ჩაი, რომელიც უმჯობესია, კარგად გაციებული მიირთვათ. რაც შეეხება შავ ჩაის, სპეციალისტების თქმით, იგი დათვურ სამსახურს გაგიწევთ, რადგან, რამდენადაც ცნობილია, შავი ჩაი ადამიანს სითბოს მიღებაში ეხმარება.

არა მხოლოდ წყურვილს მოგიკლავთ, არამედ შიმშილსაც გაუმკლავდება აირანი.

დაბოლოს: ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა სიცხეში წყურვილის მოსაკლავად მოცვის წვენი, რომელიც, ჯერ ერთი, რომ სავსეა ვიტამინებით და მეორე: ცნობილია უნიკალური თვისებით, ადამიანი გააგრილოს.

**subscribe.ru**

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**26 ივნისი:** დღეისთვის დაგეგმილი მნიშვნელოვანი საქმეები, როგორც ჩანს, უნდა დაივიწყოთ, რადგან დიდი ალბათობით, არაფერი გამოგივათ.

**კურო 22.04-21.05**
**26 ივნისი:** შეიძლება დღეს დახმარება დაგჭირდეთ. არ მოგერიდოთ თხოვნა, რადგან სასწორზე შეიძლება იმაზე მნიშვნელოვანი საკითხი აღმოჩნდეს, ვიდრე გგონიათ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**26 ივნისი:** შეიძლება დღეს მნიშვნელოვანი საქმე არაფერი გამოგიჩნდეთ და გასეირნება მოგინდეთ. ძალიან ნუ გაერთობით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**26 ივნისი:** ყველაფერი, რასაც დღეს გააკეთებთ, არასერიოზული იქნება. შემდეგში რომ ამის გამო არ ინაღვლოთ, უმჯობესია, დრო გართობაში გაატაროთ.

**ლომი 23.07-22.08**
**26 ივნისი:** შეიძლება დღეს დღის გეგმები დაგენგრეთ მხოლოდ იმის გამო, რომ თავში რაღაც აზრები მოგივიდათ. იქნებ სადღეისოდ მნიშვნელოვანი არაფერი დაგეგმოთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**26 ივნისი:** გულღია ღიმილი ყოველთვის არ აძლევს სახეს იდიოტურ გამომეტყველებას. თუმცა ეს სახეზეა დამოკიდებული. ცოტა სერიოზულად...

**სასწორი 23.09-22.10**
**26 ივნისი:** ფასდაუდებელი დამხმარე იქნებით იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არსებულ სიტუაციაში ვერ ერკვევიან. სამაგიეროდ, თქვენს საქმეებში აღმოჩნდებით უსუსური.

**მორიელი 23.10-21.11**
**26 ივნისი:** ის, რომ რაღაცა პირველმა შეამჩნიეთ და დაინახეთ, არ ნიშნავს, რომ ის თქვენ გეკუთვნით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**26 ივნისი:** შეიძლება ვიღაცის რთულ თამაშში ძალიან მნიშვნელოვანი ჭანჭიკი აღმოჩნდეთ. თუ მძაფრი შეგრძნებები გსურთ, თქვენი მდგომარეობა იმ ადამიანის დაშანტაჟების საშუალებასაც მოგცემთ, ვის მხარესაც თამაშობთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**26 ივნისი:** დღეს არ ისაუბროთ იმაზე, რაშიც კარგად ვერ ერკვევით. ან საუბრისთვის წინასწარ მოემზადეთ, ან ხმა არ ამოიღოთ, თორემ არაკომპეტენტურობაზე მიგითითებენ.

**მერწყული 20.01-18.02**
**26 ივნისი:** როგორც ჩანს, ეს დღე უდარდელ განწყობაზე დაგაყენებთ და რამდენიმე სასიხარულო ამბავსაც გაიგებთ. ვალდებულებებიც არ დაივიწყოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**26 ივნისი:** რაც არ უნდა მოხდეს, რაიმეს მტკიცებასა და ფიცს ნუ დაიწყებთ. შეიძლება ხვალ თქვენი სიტყვების უკან წაღება მოგინდეთ.

## უნიკალური საწოლი ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფებისთვის



შვეიცარიელმა მეცნიერებმა ლოგინად ჩავარდნილი ადამიანებისთვის სპეციალური საწოლი გამოიგონეს. „ჭკვიანი“ საწოლი გარკვეულ დროში ავადმყოფს თავისით აცვლევინებს გვერდს და ამით ნაწოლების გაჩენის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

შვეიცარიელების „ჭკვიანი“ საწოლის მთავარი საიდუმლოება განსაკუთრებული მატრასია. საჭირო დროს, რომელსაც, სავარაუდოდ, ექიმი ან ავადმყოფის პატრონი მიუთითებს, იგი ერთ ადგილზე იზნიქება, მეორეთი კი იწევა და პაციენტებს სასარგებლო პოზაში აწვენს.

რაც მთავარია, საწოლს მიჯაჭვული ადამიანები ამ დროს ვერაფერს გრძნობენ და დისკომფორტიც არ ექმნებათ.

რა ღირს ან როგორ შეიძლება ასეთი საწოლების შეძენა, სამწუხაროდ, აღარ ზუსტდება.

**reton-n.ru**

## პომიდვრის ახალი ჯიში ანტიასაკობრივ კოსმეტიკას შეცვლის



სიახლის ავტორები იტალიელი მეცნიერები არიან, რომლებმაც პომიდვრის ახალი ჯიში გამოიყვანეს და ამტკიცებენ, ჩვენი პროდუქტი ნაოჭების საწინააღმდეგო საშუალებებს სულ ბდღვირს აადენს და უპრობლემოდ დაჯაბნისო.

როგორც ირკვევა, პომიდვრის ახლად მიღებული ჯიში მდიდარია ანტიოქსიდანტ ლიკოპინებით, რომელიც კანს და, ზოგადად, ორგანიზმს დაბერებისგან იცავს.



სიახლის ავტორების ინფორმაციით, პომიდორი არა მხოლოდ აჯანმრთელებს კანს და იცავს უჯრედებს დაბერების ბუნებრივი პროცესისგან, არამედ ავთვისებიანი სიმსივნეებისა და გულის დაავადებების გაჩენასაც ეწინააღმდეგება.

პომიდორი უკვე შემოწმებულია შესაბამისი უწყებისა და ასევე, დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ, რომლებიც მის მოხმარებას ყველას ურჩევენ, განურჩევლად სქესისა და ასაკისა.

რაც მთავარია, თუმცა ცოტათი დაუჯერებელი, პროდუქტის მოყვანისთვის არ გამოიყენება გენეტიკურად მოდიფიცირებული ნივთიერებები, ანუ იტალიელების ახალი ჯიშის პომიდორი სრულიად ნატურალური და სასარგებლოა.

**mujane.ru**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კოტე ტარაკნებმა შეაწუხეს. ვერაფერი მოახერხა და ბოლოს მეგობრის რჩევა გაითვალისწინა:

– ძილის წინ ოთახების ყველა კუთხესთან მიდი და ხმამაღლა იძახე: „საჭმელი არაფერია, საჭმელი არაფერია“...

ასეც მოიქცა...

შუაღამისას ვიღაცამ შეანჯღრია, გაახილა თვალები და საწოლზე ჩამწკრივებული ტარაკნები დაინახა. ყველაზე დიდმა ტარაკანამ კი:

– ადექი, შე უბედურო, საჭმელი მოგიტანეთ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია »211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.30